

ინტერვიუ ილია ხიმშიაშვილთან*
(უკომენტაროდ)



პაატა ბუხრაშვილი (შემდეგ პ.ბ.). ბატონო ილია, ჩვენს მკითხველს დიდად დააინტერესებს თქვენი წარმომავლობა, გვარის ისტორია; ინფორმაცია თქვენი მშობლების, დედამამიშვილების და ოჯახის შესახებ. აგრეთვე, თქვენი დაბადების ადგილი და ბავშვობის მოგონებები, ენობრივი სიგუაცია თქვენს გარშემო (მოგადად თურქეთელ ქართველებში), ბავშვობაში და რაიმე დღესასწაულები თუ გაგონდებათ, ბავშვობის პერიოდიდან...

ილია ხიმშიაშვილი (შემდეგ ი.ხ.) - მოგონებები? როგორ არა.

პ. ბ. - საცხოვრებელი ადგილი

ი. ხ. - იქ?

პ. ბ. - დიახ, იქ. მე რამდენადაც ვიცი, ადგილმონაცვლე ხართ. თქვენ ჯერ სხვაგან ხართ დაბადებული და შემდეგ გადასული ალაფაზარში.

ი. ხ. - ალაფაზარში დავიბადე.

პ.ბ. - ალაფაზარში დაიბადეთ?

პ. ბ. - თუ თქვენი მშობლები არიან გადაყვანილი?

*ინტერვიუ ჩაწერილია 2007 წლის 2-3 დეკემბერს პაატა ბუხრაშვილის და თამარ რუსულაშვილის მიერ ეკუპელაში (პაიდელბერგში) გერმანიაში, იხ. ფოტო მასალის ბოლოს.

მასალა ვიღო და აუდიოკასეტიდან გამიფრა და გექსტურ ფაილში გადმოიღო ლოქტორანგმა ნინო ოქროსცვარიძემ.

ი.ხ. - ბაბუა. თურქეთში დაბადებული მეორე თაობა ვარ.

პ.ბ. - როგორ მოხვდით აქ? რატომ? თუ არ შეწუხდებით ეს ყველაფერი მაინტერესებს.

ი.ხ. - კი.

პ.ბ. - შემდეგ მივყვით; ჯერ დავიწყით - თქვენი ვინაობა, სახელი, გვარი.

ი. ხ. ეხლა, მე ჩემს ბაბას, ბებიას და ახლო ნათესაობიდან რაც მოსმენილი მაქვს, ჩვენ ვართ ხიმშიაშვილები. ხიმშიაშვილი გვარი როგორ წარმოიღვინა; იქიდან რაც ვიცი მე. მე რაც ვისწავლე, იმათ არ ვამბობ ეხლა. ე.ი. ხიმშიაშვილები ყოფილან წარმოშობით თუშეთიდან. ქართველ მეფეს დროს აზნაურები ყოფილან, ესენი, და ერთ პერიოდში ორი ძმა ქართველის მეფის კარში რომ აზნაურები იყვნენ, ტყუპები, ყოფილან მეფის ჯარში. ერთს კაცი მოუკლავს, როგორც მოხდა და ორივე გაცილდა იქიდან, ჯარიდან. მაშინ გზა არ იყო არაფერი და ხეობაში და რამდენიმე დღით წავიდნენ დღევანდელ კახეთის კარმიდამოებში, აცდნენ ერთმანეთს. ამითმა რომ აცდნენ, ერთმანეთი დაკარგეს ე.ი. მე რაც მომიყვნენ იმას გიყვებით. ერთმა იქ დარჩა. მერე გამოჩდენ. დღევანდელი ახლო კახეთის ხიმშიაშვილები იმისი შთამომავალნი ყოფილან. იმ მეორემ გზა გააგრძელა; შემთხვევით აჭარისკენ მიაყოლა ასე და საჭმლის პური არაფერი აღარ ქონდა თურმე და ხეს მიადგა – „ხე მშიაო. და მერე აჭარაში რო მოხდა, ეკითხებიან - „ვინა ხარო რა ხარო?. კაცო, რათქმაუნდა, იქ კაცი რომ მოკლეს, ეს ამბავი მოხდა, ის დამალა იმან, არ ილაპარაკა ხალხში და თქვა, რომ მეო, ისეთი რამეები გადამხდა, ისეთი შიმშილი გადამხდა, ხეს მივაღეჭო და –ხე მშიაო ვუყვირეო. მუყყვა ხალხს. ამას აბელ სურგულაძეც წერს. ოღონდ სხვანაირად და იქიდან ეს გადააკეთდა ხიმშიაშვილზე – ხიმშიდან მოვიდა ეს სიტყვაო. ამისი წყაროც ეს არის. რათქმაუნდა, იმან მერე ის აზნაურობა გააგრძელა, იმ მეორე ტყუპმა აჭარაში და მერე თავადობაზე გადავიდა და ისტორია იმის შემდეგ მოჰყვა ასე. ეს არის ხიმშიაშვილი იყოილების გვარის ისტორია.

პ.ბ. - აჭარაში?

ი.ხ. - აჭარაში არა, ძირითადად. მე რაც თურქეთიდან ვიცოდი ბოლო მუჰაჯირობის დროს. მუჰაჯირობა ე.ი. გადასახლება. გადასახლების დროს, ჩემი ბაბუას მამა, ალი ფაშა ბეი, თავადი. რათქმაუნდა, ოსმანეთის და თურქეთის პოლიტიკის მიდგომით აჭარაში რა ხდებოდა ჩვენ ყველამ ახლა დღეს ვიცით. მაშინ არ ვიცოდით ხალხმა. ხან რუსეთთან, ხან თურქეთთან, დიდი პერიოდი თურქეთთან იყო კავშირები და შემოქმედება იმ პერიოდში. ჩვენ ოჯახს უთხრეს, რომ თქვენ, ახლა აქ რუსები შემოდიან ვერ იმუსლიმანებთ, თქვენ

სარწმუნოებას ვერ გააგრძელებთ, მოლით აქედან გადასახლდითო. ჩემ მამის ბაბუამ უთხრა, რო, მაშინდელ სულთანს – ჩვენ აქედან წასვლა არ გვინდო. არ წავალთ აქედანო. რუსეთსაც ვებრძოლეთ ძალიან ბევრიო, მაგრამო თუ ართვინში გადაგვასახლებთ შეიძლება თანახმა ვიყოთო. კი ბატონო, უთხრეს, ართვინში გადაგვასახლებთო. ესენი გემში ჩაყარეს. აჭარაში გავლის დროს ხულოში იყო, ღვეზნდელ ხულოს რაიონში, ძირითადი ოჯახი.

პ.ბ. - რომელი სოფელი ხომ არ გახსოვთ?

ი.ხ. ნიგაზივლი, ფურთიო-ეს სახელებიც მე იქიდან ვიცი. ნანახი მაქ ახლა. შემდეგ ნიგაზივლი, ფურთიო. ბებია იყო, მამის დედა, დისამძიე, კობალთიდან, შუბანის სოფელი კობალთა. დედის დედა იყო ცეცხლაძე. მამის დედა სურმანიძე. დედის დედა იყო ისიც შუბანის რაიონიდან. შუბანი და ხულო ერთმანეთთან ახლოს არიან ძალიანი.

ახლა კიდევ გადასახლების პერიოდზე გადავიდეთ. ოსმალებმა დაპირდნენ, რომ კი ბატონო, არეინში გადაგვასახლებთ. ჩაყარეს გემში. ბათუმიდან მაშინ გზა არ იყო, გემით წვევიდნენ. გემი რო წავიდა, დიდი ხანი წვევიდა. თქვეს - ართვინი სად არისო, ართვინი უკან დარჩაო. თურმე მაშინ, გემს აცილებული ქონდა გრაპიზონი. ამათმა მიხვდნენ რო მოგყუენდნენ. აჯანყება მოხდა გემში. აჯანყება რომ მოხდა, ამათ იარაღები არ ქონდათ. ნაჯახით, წალდით, ცელებით, თოხებით, რაც იქიდან წამოღებული ქონდათ, იმავე დროს ჩემი ბებია ამბობდა, ბაბუაც მიყვებოდა ამას, რომ ნერგებიც წამევიდეთ ჩვენაო. ამიტომ, დღეს სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, იქ ყურძენი აღესა მარტო ქართველებს აქვთ.

პ.ბ. - თქვენ სად ცხოვრობდით?

ი.ხ. - ალაფაზარში. იმათ წამოღებული ნერგებით, ვაშლის ჯიშები, მსხალი – ღიდერაი მსხალი, სესერაი მსხალი, კაცისთავაი მსხალი... ასეთი მსხლები თურქეთ კიდევ არ აქვთ. მიჩვეული არ არიან. მაშინ წაუღიათ ესენი. აჯანყება რომ მოხდა გემში, რათქმაუნდა, ვინც იქ ბრძოლობდა და ჩხუბობდა ისინი წყლში ჩაყარეს, ზღვაში მერე ეს ხალხი ჩამეყვანეს ისტანბულის ნავსადგურში. იქ რო ჩამოყვანეს, მიხვდნენ, ამათ მაგრამ სხვა გასაავალი არ ქონდათ. რაქვია, იმას თხოვეს, იქ ვინც იყო მთავარი ის კაცი, იმას, რომ მოგვატყუილეთო - ეს მოტყუილება არც თქვენ ალაჰს მოსწონდებაო და არც ალაჰ-ქრისტესო, არავის არაო; მაგრამ ერთი რამ გაგვიკეთეთო – ერთად დაგვაბინავეთო. იმანაც უთხრა, რო ჩვენ რუსეთთან შეთანხმებით გამოგყვანეთ იქიდანაო. რუსეთის მეფემო გვითხრა, რო ეს ხიმშიაშვილები ერთად არ დააბინავოთო. ჩვენ რაგომ შევეკითხეთ და გვითხრა რო ესენი გაძლიერდებიან, თქვენთვისაც კარგი არ იქნება, ჩვენთვისაც კარგი არ იქნებაო; ამიტომო თქვენ

უნდა დაჰფანტოთ ჩვენათ. ე.ი. მიხვდნენ, რომ სხვა გასავალი არ აქვთ. ეს ოჯახი დაფანტეს. დღევანდელი ალაფაზარის, სადაც ახლა ჩემი მამა ცხოვრობს, იქ ცოცხალი დიდი ნაწილი დარჩა, მაგრამ ამათმა არ აკმაყოფილათ ყველაფერი რომ მიიღეს, რა თქმა უნდა, წივილ-კივილი, ყვირილი, ჩხუბი. კიდევ ცოცხალი-ცოცხალი მიდიოდა და იმათ რომ მიხვდნენ, რომ ესენი მართლა ძალიან ჯიუცი ხალხი არიან, წაიყვანეს და დღევანდელი იმითი სანაპიროდან ცოცხალი შორს არის, ამ იმითის და ალაფაზარის შუაში ერთ ჭაობაში ეს ხალხი დატოვეს. იქიდან მოწვევები, ამოგლეჯილი ხალხი ჭაობაში, რა თქმა უნდა, მალარია, კოლა, ავადმყოფობა, ყველაფერი არის.

იქაც ღვიფრებდა ამდენი ხალხი, მოკვდნენ, მერე ამათმა, ვინც დარჩენ, ამათში იყო ჩემი მამის ბაბუა, ალიბეი ფაშა. მთიებისკენ წაიყვანა ხალხი. მთიებიდან სადაც წაიყვანა, წაიყვანა ჯერ ხეობიდან, გაიყვანა, მერე მაღალ მთაში, სადაც მოხვდნენ და ვეღარ წავიდნენ, რა თქმა უნდა, მაშინდელი ხელშემწყობი პატარა იარაღები-თოხი, წალდი, ნაჯახი, ცული, ყველაფერ ჰქონდათ ამათ, რაც შერჩათ და კიდევ ნერგებიც, ძირითადად ყურძენი. მე სადაც დავიბადე იმ სოფელში დაბინავდნენ.

პ.ბ. - რა სოფელია, სად დაიბადეთ?

ი.ხ. - ალაფაზარის. მაშინ ის რაიონი პატარა სოფელია, აქიაზი. აქიაზის დღეს ჰქვია იმ სოფელს, ახმედზე. ორი დიდი სოფელი ჩამოყალიბდა. ერთი სოფელი იყო ჩვენი სოფელი – ხელექ-ღუმუ. ამას ჰქვია ქართულად ღმერთისგან დაკარგული ვაკე. დღესაც კიდევ ახმედის ხალხში იმ სოფელს ხელექ-ღუმუ ჰქვია. მთავრობამ ახმედზე დაარქვა. მეორე სოფელი იყო – ჯაგრუ ჰარმადი. „ჯაგრების კალო დაარქვეს თურქებმა იმიტომ რო ჩვენ მათთვის ჯაგრები ვიყავით-ურჯულოები ვიყავით. ის სოფელი, ის ხალხი მთავრობას დაავიწყდა რომელიც ჭაობაში მიაგდეს დატოვეს და იმ სოფელმა ერთი რაც ჩემი ბაბუა მიყვებოდა 60-70 წელიწადი სულ დავიწყებული იყო. არ იცოდნენ ეს ხალხი სად დაიკარგნენ ეგონათ რო მოკვდნენ, დაიხოცნენ ჭაობაში რო დარჩნენ იმათთვის ბევრი დაიხოცა მაგრამ მერე გავრცელდა იქ რო ღმერთისგან დავიწყებული ვაკეში-როგორც აჭარაში ტყეში ცოცხალი ვაკე აღვიღია იქ დაბინავდნენ. იმ სოფელში დაიბადა ჩემი მამა. დღეს რომელიც ცოცხალია 87 წლის. დღესაც იქ დაიბადა. იმათი მშობლები აჭარაში იყვნენ დაბადებულნი. რომლების მუხლებზე მე გავიზარდე.

პ.ბ. - ისინი ვინც გადარჩნენ?

ი.ხ. - გადარჩნენი. ხომ მე იმათი შვილიშვილი ვარ იმ სოფელში ხალხი ცხოვრობს, გაიგეს და მიხვდნენ, რომ როდის მიხვდნენ - თურქების სამამულო ომის დროს მიხვდნენ. მთავრობა მაგრამ ესენი

აღწერილი არ იყვნენ. ტყეში ცხოვრობდნენ. მე ჩემი ბავშობიდან ვიცი რომ დეღე იყო დიდი. იმ დეღეს მარჯვნივ, მარცხნივ სულ წისქვილები იყო. ყოველ ორ სამ-ოჯახს თავისი წისქვილი ქონდა. ჩემ ბაბუას წისქვილში ჩვენ სიმინდს ვახერხიებდით, პურს, ხორბალს... ჩემი ბაბუას წისქვილი მარტო იყო. ერთ დიდი წისქვილი მისი, მერე წისქვილები ბევრი იყო მაგრამ პატარა-პატარა. ე.ი. კარაქი, ზეთი. ზეთი საიდან მოქონდათ მე აღარ მახსოვს მაგრამ ზეთს ბევრ არ ვჭამდით. ჩვენ კარაქი გვქონდა, მარილი. კენჭი მარილები იყო დიდ ქვასავით. ქვა-მარილები. საიდან მოქონდა არ ვიცი. შეიძლება იქ სადმე ახლო კარ-მიდამოებში ამოღებული იყო არ ვიცი. ნაჭერი განსაცემელი პალტო, მაღტო, ასეთი რამეები თითონ მოქსოვდნენ. ჩემი ბებია, რაქვია, იმას ოჯახის ქალები ზამთარში სულ ხელგარით მატყლის ძაფს აკეთებდნენ. იმით მიქსოვდნენ შარველებს.

პ.ბ. - ხელგარით როგორ ბრძანეთ?

ი.ხ. - ხელგარით. ჩვენ ასე ვუძახით ხელგარით, ასე ჯოხის იყო, თითისგარი. მოკლედ, იქ ძალიან ჯამრთელად ვცხოვრობდით. ბებრები, ძალიან ხშირად, მაგალითად ზამთარში, 6-7 თვე მაღალი მთები იყო, თოვლი იყო სულ. ქალაქში წასვლა-მოსვლა მე 7-8 წლიდან არ ვიცოდი. ქალაქში მიდიან მეთქი. მერე ნელ-ნელა ქალაქში წასვლა დაიწყეს ცხენებით. მიდიოდნენ, გზაც არ იყო, ქალაქი ყოფილა. ქალაქში ნამყოფი არ ვიყავი, თურქული სიგყვა არ ვიცოდით. იქიდან ჩამოსულ ბებრებმაც არ იცოდნენ. მე სულ ჩემი ბებიასთან, იმათში გავიზარდე. ჩემმა ბებიამ სულ არ იცოდა თურქული. დღესასწაულები რაფერ გვქონდა. ქორწილები მახსოვს, მაგრამ ახლა ძალიან მიკვირს ისა, ქალები და კაცები ცალკე ცეკვავდნენ. სიმღერა ქართულად იყო, ესეც მახსოვს წერა-კითხვა არ იყო. ზამთარში ბებრები და ხალხი ერთ სახლში რომ მოიკრიბებოდნენ, მოგროვდებოდნენ სულ მემლექეთზე ლაპარაკებოდნენ, მემლექეთი ე.ი. სამშობლო.

ერთი ქათამაძე იყო, 1936 ის შემდეგ, საზღვრის ჩაკეცვამდე გამოქცეულა. ის ქართულად იმღერებდა დამე. სიმინდ ვხვსდით, მოხესვა უნდა, რომ მერე დაფქვა და ნაღები იყო. იმ ნაღებს, მოიკრიბებოდა ხალხი, ის ქათამაძე იმღერებდა ყველაზე კარგად; სულ ბოლო მოსული ის იყო.

ის მახსოვს რომ ბებია, მამის დედა და დედის დედა რომ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთი მეორეს ეუბნებოდა – შენ ჩემს კალთაში მოხვედიო. შენ ჩემს მკლავებ იჯექიო, იყავიო. მე გატერებდი შენო, ისიც მეაღერსებოდა. არა შენ ჩემზე პატარა ხარ-მე შენ გატარებდიო. იმას რომ ყვებოდნენ, გემში როგორ იხსუბეს - ჩემი მამის დედა-დიასამიძე ამბობდა, რო მე მახსოვს რომ ჩემი ბებია ეკლესიაში

დადიოდაო. მაშინდელი დროიდან მახსოვს. ე.ი. ამას ვაგეგობ, იმათი გამუსლიმანების დრო, ბოლო პერიოდში მოხდა; იმიტომ რომ ესე, რომ არ ყოფილიყო, როგორ ეხსომდა იმას ბებუის ეკლესიაში წასვლა, ჩუმად დადიოდა, ესენი მახსოვს ძალიან კარგად. ბავშვობაში, რაც მე მახსოვს, თურქული სიგყვაც ერთიც არ ვიცოდი მაშინ რადიო არ იყო.

პ. ბ. - ეს რომელი წლებია დაახლოებით?

ი. ხ. - გეგყვი. მე დავბობადე 1948 წელში. დედა ამბობს ექვსში, მამა ამბობს რვაშიო. დაბადების მოწმობაშიც 1948-წერია, მაგრამ 60-65-დან ის მდგომარეობა იყო იმ სოფელში - რადიო არა, გაზეთი არა. თურქული წერა-კითხვა ძალიან ნაკლებ ხალხმა იცოდა. 1919-ის შემდეგ ჯარში ვინც წაიყვანეს, სამამულო ომში, მაშინ მოახსენდათ სოფელი, კაცი რო დაჭირდათ. ბევრი წაიყვანეს, იმათმა წერა-კითხვა ჯარში ისწავლეს. კიდევ მაშინდელი მდგომარეობა ჩვენი წინაპრებიდან და ხნიერ ხალხიდან მოსმენილი მაქვს, ქართველები აღმოსავლეთისაკენ არ გაგზავნეს. დასავლეთისაკენ ბერძნების წინააღმდეგ გაგზავნეს, აღმოსავლეთში რომ გაეგზავნათ სამშობლოსთან ახლოს უნდა ყოფილიყვნენ და ეშინოდათ რო კიდევ არ დაკავშირდენ იქაო. მაგრამ ჯარში მუჰაჯირობის დროს ჩამოყვანილი და სხვადასხვა ოლქებში დაფანტული ხალხი შეხვდა. ერთმა მეორეს შეხვდა იმან იმ ხალხის ამბავი მოუყვა, ჩვენი მხრიდან კაცს, იმან ჩამოვიდა ჩვენ მოგვიყვა ესენი. იმან იმ კაცის ამბავი იქით თავის სოფელში მოუყვა. ასე კავშირები რათქმაუნდა გაკეთდა. ჩემი დედა, გვარად სურმანიძე, თურქული წერა-კითხვაც არ იცოდა. სკოლაში ნამყოფი არ იყო. მამაც არ იყო სკოლაში ნამყოფი. მეორე მსოფლიო ომის დროს 46 თვე საბერძნეთის-ბულგარეთის საზღვარზე ჯარში რომ იყო, მაშინ ისწავლა თურქული წერა-კითხვა. დღესაც ძალიან კარგად არ იცის. დედა გარდაიცვალა 1991-ში; რომ მოკვდა თურქული ძალიან დამცვრეულად იცოდა. ახერხებდა მაგრამ სუფთა თურქული არ იყო. ბებია ჩემს დედაზე ორი დღით ადრე მოკვდა. გარდაიცვალა. იმან სულ ბოლო 3-4 წელიწადში თურქული რაც კი იცოდა ის მთლიანად დაავიწყდა მთლიანად გადავიდა მშობლიურ ენაზე.

პ. ბ. - დედა და ბებია ბოლომდე ქრისტიანები იყვნენ და ქრისტიანულად დაიმარხნენ თუ უკვე გამუსულმანებულები იყვნენ?

ი. ხ. - არა, გამუსულმანებულები ბებია, გამუსულმანებული თურქეთში ჩამოყვანილი, გადმოსახლებული და არა ისა, იმას ახსოვდა თავის ბიბია, დედის მხრიდან ბიბია, ეკლესიაში რო დადიოდა; მაგრამ საინტერესო რა არის ახლა. შავი ლეჩაქი ეხურა ამ ქალს ჯვრებით, თეთრი ჯვრებით ეს მახსოვს როგორც დღეს. მჭადს რომ

გამოაცხობდა კევში ცომს ჩააგდებდა შუაში პატარა ცომს, იმ ცომს ჯვარს გოუსვამდა. მერე იმ ჯვარსაც ან კაკლის ფოთლით დახურავდა ან ლედვის ფოთლით, რომელიც იყო იმის მიხედვით. ერთი რამე კიდევ მახსოვს ძალიან კარგად - მუსლიმანებში სახთლის დანთება არ არის. სახთელი დავანთოთო იცოდა ბებია ე.ი. ქრისტიანული მიღებული შემორჩენილი ძალიან ბევრი რამე ქონდა. პ.ბ. - გრადიციულად ახორციელებდნენ უფრო ვიდრე რელიგიურად. ი.ხ. - კი. მაგრამ მუსლიმანურად ალაჰს არ ამბობდნენ. ესენი ღმერთს ამბობდნენ. ალაჰს არ ახსენებდნენ საინტერესოა ეს ძალიან. ე.ი. ძალიან ბევრი რამეა ახლა ეს ძალიან უცბად მოხდა მაგრამ რომ ჩაფიქრდეს ძალიან ბევრი რამე გამახსენდება.

პ.ბ. - თქვენ აქ როგორ მოხვდით?

ი.ხ. - ესეა აქ როგორ მოხვდი.

პ.ბ. - წლების მიხედვით, რომ დავაფიქსიროთ.

ი.ხ. - იმ „ღმერთის მიტოვებული და კარგული ვაკიდან ჩემი მამა და დედა ჩავიდნენ, გადასახლდნენ სხვა სოფელში, რომელიც ქალაქიდან ახლოს იყო. აქიაზია რაიონი. იმ აქიაზის ბათარქოში. ბათარქო ნიშნაეს ჭაობის სოფელი - ჭაობა. ტყიდან ჭაობში და გავედით. იმიტომ რომ ეს დღევანდელი მიწა კიდევ არსებობს. ჩემი ბაბუას მამის ბებია რომ გარდაიცვალა, ბაბუამ მამის ბაბუამ, ალიბეი ფაშამ ერთი ჩერქეზი ქალი მოიგაცა. 17 კაცი ცხენოსანი წაიყვანა და ის ქალი მოიგაცა.

პ.ბ. - საიდან მოიგაცა?

ი.ხ. - სადაც ახლა დღეს მე ვცხოვრობ იმ სოფლიდან.

პ.ბ. - ე.ი. იქ ჩერქეზები იყვნენ?

ი.ხ. - ჩერქეზები იყვნენ. უთხრობია, რომ შვილო მე იქით ცხოვრებაში და ამ ცხოვრებაში შენგან კმაყოფილი ვიქნები რომ ესეთი ლამაზი ჩერქეზი ცოლად მომიყვანო, იქ ქალიც ქვრივი ყოფილა იქა იმათმა გაიგეს რომ ქვრივი ყველაზე ლამაზი ჩერქეზი ისა ყოფილა და 17 კაცით ცხენოსანით წვევიდა თოფებით, ხმლებით დაეცა სოფელს და ქალი მოიგაცა. ის ქალი კი სოფელში, მაღალ სოფელში, მთაში ცხოვრობდა. მამის ბაბუა რომ მოკვდა იქ დარჩა. კარგად უვლიდენ ძალიან. ჩვენ იმის მიწაში გადავედით, გადავსახლდით. დღეს ის კიდევ არსებობს ის ჩვენია ახლა. ახლა იმ სოფელში გადავედით. იქ ჩერქეზები ქალაქთან ახლოს არიან 5-6 კილომეტრი სიშორეზე. ქალაქის სოფელში სკოლა არ იყო, დასაწყისი სკოლა. ქალაქში იყო ქალაქში მიდიან - მოდიან. თურქული ძალიან კარგად იციან.

პ.ბ. - და ახლა ეს ჩერქეზების სოფელი, საკმაოდ დიდი სოფელია და ჩერქეზული სოფელია?

ი.ხ. - კი, კი დღეს კიდევ არის. მე იქ მივიღივარ როცა წავალ თურქეთში. ახლა სოფელი ის აღარ არის ქალაქი გახდა. მოკლედ იქ რომ წაველი ძალიან გამიკვირდა იმათი ჩაცმა სხუარი, ჭამა სხუარი, ენაც სხუარი. არ ვიცოდი რომ ჩერქეზ ჩერქეზ ამბობდნენ. იმიტომ, რომ იქ ქალი ჩემი ბაბუასათვის რომ მოიტაცეს ჩვენებმა, იმას ჩერქეზ ნენეს ვუძახით; კიდევ წარმოდგენა არ მქონდა რომ ჩერქეზი რას ნიშნავს. ე.ი. არ ვიცოდი, რომ ენა ქონია ამ ხალხს. სხვა ერი ყოფილა, ეს არ ვიცოდი. არც ამბობდენ იმიტომ რომ იმ ქალისა და ჩვენ შუაში განსხვავება აღარ იყო. იმ ქალმა ქართული ძალიან კარგად იცოდა, წმინდად, ქართულად საუბრობდა სახლში ბუბიასთან, ბაბუა ცოცხალი იყო. ისიც ძალიან ხნიერი მოკვდა, მაგრამ მე ძალიან გამიჭირდა იმ სიფელში. დედამ ასე დამგვრეულად ისწავლა, მამამ იცოდა დღიური თურქული იცოდა. ჩერქეზებთან თურქულად ვუსაუბრობდით ჩვენ. მერე 7-8 წლის გავხდი მე იმ სოფელში რომ ჩავედი. 6 წლის ვიყავი. ბაბუამ არ გამიშვა მამასთან და დედასთან ერთად იმიტომ, რომ პირველი შვილიშვილი ვიყავი. ცხენით ტყეში მე მაგარებდნენ სახლებში, სოფელში და ყანაში. მერე სკოლაში სწავლა დავიწყე, სკოლაში რომ სწავლა დავიწყე ენა არ ვიცოდი. როგორ უნდა ვისწავლო და კიდევ იმ კლასის ბავშვები ჩემი ტოლები ხუმრობდნენ – ბიჭო, დანაი შეიგა, მამაჩემი იძახდა, მოსმენილი დედაჩემისგან მოსმენილი იმათმა აითვისეს და ისე მიყვიროდნენ „ბიჭო, მოდი ასე, მეც პატარა დავბობდი და იმით ვარბენინებდი, ვემუქრებოდი იმ ბავშვებს.

მერე თურქული როგორ ვისწავლე, არ ვიცი, არ მახსოვს, მაგრამ ერთი რამ მახსოვს: ერთი ქურთი პედაგოგი გვყავდა, რო ჩერქეზები ერთმანეთში ჩერქეზულად რომ ილაპარაკებდნენ, იმათ ცემდა, მერე ჩემგან დაიწყო. სკოლაში ჩვენ რომ გაგვიჭირდებოდა, ქართულად ვლაპარაკობდით, სხვა არ ვიცოდით. ჩვენც გვცემდა ის ქურთი, რომ თურქულად უნდა ისწავლოთ, ქართული აკრძალულია. ასე ვისწავლე. ახლა დღესაც კი ჩემ დამ თურქული ენა ისე ძალიან ლიტერატურულად თურქული კარგად, წმინდად არ იცის. ეს სკოლა რომ დავამთავრე, რა თქმა უნდა, მაშინ დღესაც კიდევ მიკვირს, როგორ ვისწავლე იმხელა თურქული. ძალიან კარგად დავამთავრე სკოლა, გამგზავნეს საშუალო სკოლაში. საშუალო სკოლაში, რათქმა უნდა, ოფიციალურად პირველი უცხო ენა გერმანული დავიწყე. გერმანული გარეშე არ იყო სხვა უცხო ენა. დღეს არის ფრანგული, ინგლისური და სხვა ენები, მაგრამ მაშინ იმ ქალაქში გერმანული იყო. პირველი ნიშნები რომ მივიღეთ, შუა წელიწად სამი ცუდი ნიშანი მქონდა: თურქული, გერმანული, მათემატიკა. იმიტომ რომ ეტყობა ახლა ვაგყობ ამას ქართული რომ არ ვიცოდი, გლეხური ქართული ვიცოდი, რა თქმა უნდა, მლაპრები ქართულად მოსმენილი

მქონდა, ის მახსოვს ძალიან კარგად, მაგრამ იმათი ჩამოტანილი ენით შეზღუდულ ენით, თურქულიც, რათქმა უნდა, იმის პარალელურად ასე მოხდა გერმანულიც ცუდი მქონდა. მერე გადავწყვიტე ესე რომ მათემატიკა, რა თქმა უნდა, იოლად სასწავლია, მაგრამ ენა ძალიან ძნელია. იმ საშუალო სკოლაში გამიჭირდა, მაგრამ გავიმარჯვე. მერე გადაველი გიმნაზიაში იქაც კიდევ გერმანული გავაგრძელე მერე პედაგოგიურ ინსტიტუტში გადაველი და 1969-ში, 9 იყო კი, აგვისტო დავიწყე მუშაობა პედაგოგად. დასაწყისში სკოლები და ხალხური სკოლებად საშუალო სკოლების პედაგოგიკა ვისწავლე იქ. ამავე დროს 1970-იან წლებში მელაშვილის სახელი მოეუსმინეთ ე.ი. იმის სახელი მელაშვილი ბურსაში ცხოვრობდა, მაგრამ ალაფაზარში მოვიდა. ისეთი კაცი ყოფილა, რომ ჩვენ ვამბობდით, ხალხიც ამბობდა ქართველები, ქართული წერა-კითხვა იცის მელაშვილია; ეს ქალაქ ბურსაში, ეს ჩვენებური მერე გამოიშვა, ამაზე მერე მოგიყვები. მელაშვილი ყოფილა ჩვენებური. ქართული სიტყვა არ არის ჩვენში ჩვენებური. საქართველო არ არის მემლექეთი. ამ მელაშვილს როგორ უნდა დავეუკავშირდეთ. გელეფონი არ არის, არის მაგრამ ჩვენთვის იოლი არ იყო. გელეფონთან მისვლა-მოსვლა ბურსაში ვისაც ნათესავი ყავდა ალაფაზარიდან, ისინი მიდიოდ-მოდიოდნენ.. კიდევ პირველად ქართული ანბანი ერთ ქართველმა სტუდენტმა მომცა. იმშირის გამოუენაში მიუცაით იმისთვის შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი, მაგრამ წერა-კითხვა არ ვიცით ქართულად, რაფერ გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ ახლა ეს ვისწავლით კიდევ ოთხი ფირფიტი ქართულად სიმღერები, პირველად ჩვენ ცხოვრებაში. ჩვენ, ახლა ჩვენი პირველი მიზანი იყო მელაშვილთან მიღწევა და მელაშვილის წერა-კითხვა რაფერ ავითვისოთ. საქართველოში წასვლა-მოსვლა ვიცით კიდევ. საქართველოში ამავე დროს მიდის ერთი კაცი ჰუსეინ ქათამაძე. სულ ბოლო რომ გამოიქცა და სპარსეთს დროს. ის მიდიოდ-მოდიოდა, მერე ის რომ მოდიოდა ამ დროებში და ნათესავების ამბები მოქონდა ბათუმიდან. მოკვდა ის კაცი. იმას ეხვეწებოდა ხალხი, ზოგი კვერცხს მისცემდა ზოგი ფულს მისცემდა, ზოგი სიმიდს მისცემდა მეშოკებით, გომრებით რომ წერილი დაგვიწეროსო ქართულად. მოკლედ ამ ჰუსეინასთან წავედი მე. არღაღეგები იყო მაშინ. ვუთხარი ჰუსეინ ძიავე - ერთი მელაშვილი ყოფილა. იცნობ შენ ამ კაცს მეთქი? არა მე არ ვიცნობ, ძალიან მაინტერესებსო როგორ უნდა დაუკავშირდეთ ამ კაცსაო. ბოლოს წერილი მიეწერე ამ აჰმედ მელაშვილს. ა. მელაშვილმა მერე მე მომწერა. რათქმაუნდა თურქულად მიწერ-მოწერა გვქონდა, მაგრამ ეს სულ თავიდან იწყებდა-საყვარელო თანამემამულენო

პ.ბ. - მიმართვა ქართული იყო?

ი.ხ. - ქართული ასოებით წერდა კი. და ასე მიწერ-მოწერა. მერე ტელეფონით დავიწყეთ ლაპარაკი. ერთმანეთი გავიცანით ჩვენ. რათქმაუნდა, ეს ისეთი ცეცხლის ჩანთობა იყო ჩვენთვის. ახლა ის გვიყვებოდა - საქართველოში წავედი, ასე იყო, ისე იყო. დიდი ინტერესებით ვეკიდებოდი. ახალგაზრდები ვართ, სულ განათლებული ახალგაზრდები ვართ. თურქული განათლება მიღებული გვქონდა ჩვენ. ამავე დროს თურქეთში პატარ-პატარა დღევანდელი ქურთების პრობლემა წამოწყებული იყო და მემარჯვენე, მემარცხენე პოლიტიკაც ძალიან აქტუალური იყო. რათქმაუნდა, ჩვენ მემარცხენეს მომხრეები უფრო ვიყავით; იმიტომ, რომ მემარცხენე იდეოლოგია უფლებას აძლევდა, იქ რაც ვისწავლეთ, ერებს. ახლა, მარტო მელაშვილმა ჩვენ მაშინ თავიდან გვითხრა, ერთი 20-მდე ახალგაზრდა სხვადასხვა ქალაქებიდან შევხვდით იმზითში, იმშირში არა იმზითში. იმზითთან ახლოს ერთ ქალაქში - იზნიკში სადაც დღევანდელი ბიბლია დაიწერა, იმ ქალაქში, იქაც ძალიან ბევრი ქართველები არიან. ჩვენ ამ ქვეყანაში თურქეთში მემარჯვენეობა ძალიან არ გვანტერებსო, ჩვენაო. ჩვენებურ საქმეს მივხედოთო. აჰმედმა მითხრა-ჩვენებურს მივხედოთო. პირველ ნაბიჯშიო, რაქვია იმას, ქართული წერა-კითხვა უნდა ვისწავლოთო, ქართულ მეფეების სახელებიო, ქართული ფირფიტები მოგვიტანა, მოგვასმენინა. ქართული მეფეები მოგვიყვა, ისტორიაზე სულ ისტორიაზე გველაპარაკებოდა, რომ ჩვენ ეროვნულ აზრზე მოვიდეთო. მოკლედ, მერე იქ მამარებდა, ამბობდა, რომ სადაც წახვალთ, ჭკვიანი ქართველები ვინც არიან, იმათი მისამართები გამომიგზავნეთო. იმათ კავშირში იყავით. იმათთან სულ ქართულად ისაუბრეთ, იმათთვის კიდევ მასალები მოგვცა. მაგალითად, დღევანა მოგვცა ბევრი. ეხლა მე აქაც მაქვს საქართველოდან ჩამოტანილი. ქართულ-თურქული ანბანი მოგვცა, 20-გვერდიანი ა,ბ,.. ასოები იქიდან თქვენ შეეცადეთო. მე ისე ვისწავლე ჩემთვე ქართული. არავინ არ მასწავლა ენა რომ ვიცოდი იმიტომ. რაქვია იმას, მერე, მერეო რომ გავძლიერდებითო, ერთ კრებულ უნდა გამოუშვათ, რომ ჩვენაო რომ კრებულით ერთმანეთთან კავშირში ვიყოთო. აჰმედმა გვითხრა. წაველით ჩვენ, მაგრამ პირველად ჩვენ ცხოვრებაში, ასე რომ ერთი ორგანიზაციად ჩვენთვის ეს ორგანიზაცია იყო. შეველით იმ ორგანიზაციის წევრები გავხდით ჩვენებურებად რათქმაუნდა ხმამაღლად დავიწყეთ ლაპარაკი.

პ.ბ. - დაახლოებით რომელ წელია ბატონო ილია?

ი.ხ. - 70-71 სადაც მემარცხენეებს ძალიან ცუდად დევნიან თურქეთში - ციხეშიც სვავენ, ცემენ, ტყეპენ, კლავენ. დღეში 30-40-მდე მკვლელობა

იყო ქალაქებში მემარჯვენე მემარცხენებს შორის. მთავრობის ხელი იყო ამაში. ჩვენ მემარცხენეებთან გამოჩენილი ვართ. იმათ ჯგუფებთან ახლოს ვართ, მაგრამ საინტერესო ამავედროს რა იყო - აფხაზები და ჩერქეზებიც მემარცხენეებთან ახლოს იყვნენ. საინტერესო დღეს კიდევ ვფიქრობ ამაზე. ალბათ ისინიც ისე იყო.

პ.ბ. - წარმომავლობა ერთი კავკასიური. ის აერთიანებდათ.

ი.ხ. - კი, უმრავლესობა აფხაზები იყვნენ. პირველ ადგილას ჩვენ ვიყავით, იმიტომ რომ რაოლენობა ჩვენი უფრო მეტი იყო იქ. ძალიან ბევრი იქაური აფხაზები და ჩერქეზები გავიცანი იმ მოძრაობაში. მოკლედ ჩვენ, მაგალითად, ქართული სახელებიც დავირქვეთ იქა, ქართულად მელაშვილი გვეუბნებოდა, სიას გვაძლევდა ქართულად-შენ არსენა გქვია, შენ ეს გქვია, შენ ეს გქვია. თქვენ დაარქვით ერთმანეთში გოგოების, კაცების, სახელები. ასეც დავიწყეთ და სულ ასე ვეხშიანებოდით და თან ქართულად ვლაპარაკობდით თურქებშიც და ჩვენ, ერთად რომ ვიყავით მაშინაც. ამან, რათქმაუნდა, იმათი გამოგზავნილი პოლიციელები იყვნენ. ვინ იყვნენ რა ვიცო. ეხლაც გამოჩნდა ეს ხალხი. ამბობენ, რომ მაშინ ამბობდნენ, პარდაპირ თქვენო, რაგომ ასე სხუა ენაზე გადახედით? მაშინ ჩვენ გამოცდილება არ გვქონდა, ვამბობდით - რაგომ არა კაცო, ჩვენ სხუა ერი ვართ. არა თქვენ აქაური ხართ, აქაური მოქალაქე ხართ. აქაური მოქალაქე ვიყოთ დიდი განსხვავება არის. ზოგიერთი აჩვენებდა აი ჩვენ ჩვენი ასოები გვაქვს. ჩვენ ესეც გვაქვს. მერე ზოგიერთი ამბობდა, რათქმაუნდა, ჩვენი იქაური საქართველო კომუნისტია, ჩვენც რომ კომუნისტები ვიყოთ რა იყნება. აი ასეთი ამბავიც იყო. იცი, არ იცი, ეს არის იმედი. მე ბევრი რომ მიცნობდა ძალიან დიდი მოძრაობა მქონდა. ალაფაზარში არ ვმუშაობდი, ქალაქ ბოლუში ვმუშაობდი. ბოლუში დღესაც ძალიან უნივერსიტეტის დიდი ცნობილი ცენტრია, ქართველები ბევრნი იყვნენ. ვინც მიდიოდა ერთ ქართველს გაიცნობდა, პირდაპირ ჩემთან მოდიოდა. მე იქიდან ხალხს ვუშვებდი მელაშვილთან, ეს გინდა არ გინდა გამოჩნდა იქ. დაიწყეს მთავრობამ ჩემი დავიწროობა, მაგრამ, პირდაპირ ქართველობა და იმიტომ არა მავიწროვებს, მემარცხენე ხარო, კომუნისტია ხარო მავიწროვებს. მაგრამ კაცის მკვლელობაში არა ვარ. ჩემს საქმეს ძალიან კარგად ვაკეთებ. ამავე დროს ქალაქის მთავარ გაზეთში ყოველდღე უშეწყვეტილოდ კვირა დღეობითაც, შაბათ-კვირასაც, სტატიები იბეჭდება ჩემი. ამან უფრო მეტად გაართულა საქმე.

პ.ბ. - რა თემაზე იბეჭდებოდა სტატიები? პედაგოგიკაზე?

ი.ხ. - არა, მაშინ სოციოლოგიურ მდგომარეობაზე, ეკონომიკაზე და რათქმაუნდა პოლიტიკურ მდგომარეობაზე. პედაგოგიურსაც ვწერდი ბევრს, ვაყოლებდი იქ, მაგრამ მარქს ვახსენებდი სტატიებში

პ.ბ. - თქვენი პუბლიცისტური წერილები არსებობს?

ი.ს. - კი, დღესაც მაქვს აქ ჩამოტანილი. მერე წიგნადაც დაიბეჭდა. ქალაქის გუბერნატორმა პირდაპირ პოლიციელები დანიშნა ჩემს საღვეწად. ამათთან ერთი ჩვენ ქალაქიდან ყოფილა და ვიცნობდი აბხაზი ყოფილა, მე მღვეწის. დანაშაული რამე დამიჭიროს, ჩამსვას ციხეში. მიზეზს ეძებდა, მიზეზი აქვთ, მაგრამ მე ახლა კანონიერად დანაშაული ჩხუბი ჩავიდინო, ვინმე მოვკლა, მემარჯვენე იყო მემერცხენე იყო მკლავენ. ასეთ რამეში გავერიო რომ წაგიყვანონ იქით წაგიყვანებენ, ვეღარ გადარჩები. იქ ვინ შეეკითხო, როგორ მოკალი, რატომ მოკალი ასე ბევრი მოიკლა იქ. რათქმაუნდა ძალიან ხშირი კავშირი რომ მქონდა მელაშვილთან, მელაშვილმა მე 1972-ის გამაფხულზე დამიძახა, წავედი მე. მე მითხრა - ილიაო შენ აქედან უნდა წახვიდეო თურქეთიდან უნდა წახვიდეო. მე ვუთხარი სად წავალ, როგორ წავალ ჯერ ერთი მატერიალურად ისე არ გვაქვს საშუალება. უნდა წახვიდეო - საფრანგეთში წახვალო, გერმანიაში წახვალო მერე იქ უნდა გამოიჩინო შენი ცხოვრების საშუალებები და სამშობლო საქართველოს და ევროპას ჩვენ შუაში კავშირები შენ უნდა კარგად გააკეთო, იმიტომ რომ შენ გერმანული იციო, ქართული კარგად იციო, წერა-კითხვაც უნდა ისწავლოო ქართულიო და ენერჯიაც გაქვსო, ჭკუაც გაქვსო, შენ გენდობიო, შენ იქნები ჩვენი დამაკავშირებელიო. კაი, მაგრამ მეთქი მოვემზადო, ცოტა ფული მქონდეს, რომ ბოლოს სად წავიდე. მე ამავე დროს ჯარის იმაში ვარ, ჯარში მიმიდეს; მაგრამ პირდაპირ ჯარში არა. პედაგოგი რომ ვარ, პედაგოგები რომ სჭირდებათ. პედაგოგიურად ორი წელიწადი დავალეო მომცეს, მაშინ ისე იყო. ცოლიც მოყვანილი მყავს; ის გამოჩენილი ცოლი რომ მყავს. გერმანიაში უნდა გამევიქცე, მაგრამ რაფერ ვქნათ ეს საქმე, ეს ასე იოლად არ არის. ჯერ ქალი უნდა გამევეშვა. ჩემი ჯარი დრო რომ დამთავრდება მეც გადმოვასტე აქეთ; მაგრამ ისეთი ამბავი მოხდა, რომ იძულებული გაფხდი - ქალაქ ბოლუს განათლების გამგის მთავარი დირექტორი მეცემე. ერთი ორი სამი თვე მჭირდება, რა, ის საბუთი მივიღო რომ ის ჯარის დავალეო გადახდილი არ მაქვს, ისეთი ნო კომენტი მოხდა, რომ უნდა მეცემე ის კაცი. ვინც ჩემისთანა გაჭირვებული იყვნენ იმათმა ალლა დაარჩევს, იმათმა ის კარი დაიჭირეს, იმათმა ის კარი დაკეცა და ის კაცი ჩვეიგდე ხელში. ძალიან ცუდად ვცემე; სახე დავემტვრიე, კბილები ჩამოუვარდა ვერ იყვირა. მოჭიდავე ვიყავი, თურქეთში კარგი მოჭიდავე ვიყავი, მევიხვიე იქიდან. რათქმაუნდა იქ ვეღარ ვიცხოვრებდი იმ ქალაქში იმ ოლქში. იმიტომ რომ ყველანი მეძებდა მთელი ქალაქის პოლიცია ესენი, ისენი. გავიქეცი ანტიოქიას. ახლა დანაშაული გვაქვს ისა, რომ ანტიოქიიდან იქ ერთი ნაცნობი მყავს

ქართველი ოფიცერი იყო, იმის დახმარებით ეს ჯარის პრობლემა უნდა მოეხსნა, საბუთი უნდა ავიღო. იმის გარეშე პირდაპირ ვერ მივიღებდი. ამან ის ჯარის დავალების დამთავრებისთვის ერთი კვირა დარჩა ვადა იმან გაიგო ეს ყველაფერი.....

ახლა ჩვენ რამდენჯერმე შევარღნაძესაც შევხვდით. ერთი წერილი დავაწერინო მეთქი. ძალიან გვიხარია აი კავშირი, მაგშირი პაილდერბერგში ასეთი რამე გაიგე? ეს არის საქართველოს მოედანი ამის სახელის გადარქმევა უნდოდათ ერთს ვიფიქრებდი აქ მთავარი თავადი, იმის სახელის დაერქვათ ჩვენ ამას ვუთხარით ასეთ რამე როგორ შეიძლება საქართველოს მოედანი სახელი გადაირქმეს სხვა სახელზე ეს სირცხვილია ვთხოვეთ და გავაჩერეთ. ამიტომაც გვინდა იქ ერთ საქართველოდან ჩამოსული ისე რამ იყოს რომ ქართული რამე ჩაცმული იყოს იმ ძეგლში და ძეგლიც დავდგათ მოედანზე საქართველოს მოედანზე საქართველოდან ძეგლი წარწერით რომ ეს მერე ვერაფერს ვეღარ გაბედოს სახელის გადაკეთება აი ეს გვინდა. პ.ბ. აფხაზებმა?

ი.ხ. აფხაზებმა ადაფაზარში თურქეთში გააკეთეს საიდ ჰაიდ აბასიანი. წარმოშობით იმის წარსულში რამე აბხაზობაც ყოფილა. ადაფაზარიდან ცნობილია ეს მსოფლიო ლიტერატურაშიც გატარებული კაცია. დადგეს იმ კაცის ძეგლი ადაფაზარში მოედანზე დიდი ძეგლი რა პირდაპირ თავის ზომებით და იმის წარწერაზე წერია რომ საიდ ჰაიდ აბასიანების ძეგლი ჩამოისხა იმაში აფხაზეთში და აჩუქეს აფხაზებმა თურქებს ეს ძეგლი. ჩამოიგანეს და დადგეს იქა. მერე მეც იქედან გავუგზავნე ორი ქართველი წავაშლევინე აფხაზეთი იქედან. ამას სხვა ერები ასე ყურადღებას აქცევენ და ჩვენ. ეს ძალიან ვთხოვ თუ რამე გაკეთდება ასეთი რამ ძალიან კარგი იქნება. იმიტომ რომ ამ მოედნის გაკეთებაზე მართლა შრომა და ძალიან დიდი ბრძოლები მოყვა.

პ.ბ. რომელ წელს დაერქვა საქართველოს მოედანი?

ი.ხ. იმავე წელიწადს კაცო. გაზეთები აქ არის ამის.

პ.ბ. კულტურის დღეები რო იყო 1988 წელს?

ი.ხ. კი, 1988. როგორ იყო იცო ახლა ეს ყველაფერი აღჭურვილობა მე ნიკომ მომცა, კეკელიძემ და მერე ეს იღეა გამოვიდა. ქალაქს მე ვთხოვე და ააშენეს. სხვა სხვა ადგილები მაჩვენეს ჯვარედინზე რომ არის იმიტომ, მე ვუთხარი ეს გვინდა მეთქი. წაშალეს მოედანი მაშინდელი ფული 120,000მარკა გედეისხადა ქალაქმა და კიდევ ორი ხე მოსაჭრელი იყო იქა. მწვანეებმა ძალიან დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ამას, ხეც არ მოვჭერით და მერე რა სახელი დავარქვათო წინადადება იყო. მშვიდობის მოედანი, პარკი, უცხოელების მოედანი, ასეთი რამეები მერე მე ვუთხარი კაცო ეს ყველაფერი საქართველოდან ჩამოსულია მე ქართველი ვარ, თქვენთან წელიწადების

მანძილზე ასე ვმოღვაწეობ მეთქი და თქვენ ცოცხა ხათრი უნდა გქონდეთ. კი ბატონო, მაშინ ქალაქიდან ჩვენს გაზეითში გამოვაქვეყნებთო წინადადებაო თქვა. თავის ამრი დაგვიწერონო და მეც რათქმაუნდა ყველას ვთხოვე ტელეფონებით. დაერქვა საქართველოს მოედანი. გეორგიევკაც ქართველები თურქები ბერძენები ვინც არიან ყველას მივაწერინე და დაერქვა საქართველოს მოედანი დემოკრატიულად.

პ.ბ. ესლა საშიშროებაა რომ წაიშალოს ეს სახელი და ამიგომ...

ი.ხ. ერთხელ გასინჯეს იმიგომ რომ ძალია პრესტიჟული ადგილია და ჯვარედინია და ამიგომაც მაშინაც ვამბობ ამას მე ისეთი რამე გავაკეთე რომ წინადადება ვუთხარი აქაურ ხალხს რამდენი ვინც გამოჩენილი ხალხი იმათ ვუთხარი ერთი ძეგლი რომ გავაკეთოთ დავდგათ. კი ბატონო როგორ არ დავდგათო. მაშინ ძეგლსაც ვერ წაშლიან და დარჩება. საქართველოში არც იციან რომ ასეთი რამე.

პ.ბ. კი აუცილებლად მე ამ საქმეს მივხედავ. რაც შემიძლია ყველაფერს გავაკეთებ.

ი.ხ. ერთმა ხელი უნდა მოკიდოს ამას.

პ.ბ. ბატონო ილია, გუშინ ვისაუბრეთ უკვე... ესლა, როგორ მოხვდით აქ. თქვენ ამაზე ისაუბრეთ.

ი.ხ. ანტიოქიაში გაჩერდი. მაშინ მე მახსოვს. ანტიოქიაში ის ჯარობის საბუთი იმ კაცმა გამიკეთა ქართველმა, მაგრამ კიდეც პასპორტს არ მაძლევდნენ. ჩემი დახვრეგა უნდოდათ მოკვლა უნდოდათ. ეს მელაშვილმა მითხრა მე, რომ შენ აქ საშიშ მდგომარეობაში ხარო, შენ მოგკლავენო, აქედან წახვიდეო უნდა შენაო. ყალბი პასპორტი გამიკეთა მე იმ კაცმა, მიშოვა იქიდან გადავედი ლივანში, ყალბი პასპორტით. კარგად გაკეთებული იყო. ლივანიდან გადავედი საფრანგეთში, მაშინ მოვხვდი. წერილებიდან მისამართები ხომ მაქვს იქ ლევილის იმაში, თავისუფლების ტრიბუნა რქვიოდა იმას. ნ.ქორდანიას ჯგუფი რომ იყო, იმათთან მოვხვდი და მითხრეს რომ, ცოლი ხომ აქ გამოგზავნილი მყავდა, ამას მე ვფიქრობდი, თუ რამე მომიხდება იქით გადავიქცევი მეთქი და მითხრეს რომ მაშინო, გერმანიაში წადიო იმათმა, თუ გინდა აქ შეგინახავთო. მე ვუთხარი მაშინ, ცოლიც იქ მყავს მეთქი, იმისი აქეთ გადმოიყვანა. ფრანგული არ ვიცი, გერმანული არ მესმის მეთქი იქაც ბევრი ნაცნობები მყავს იქით გადავალთ და მერე ჩვენ კავშირში ვიქნებით მეთქი. იქიდან გადმოვედი აქ იმ წელიწადს არა იმის 4 წლის შემდეგ. იმ პერიოდში თურქეთში ვეღარ მივდიოდი. მთავრობა ეჯევიტის, ბულენტ ეჯევიტის მთავრობა მოვიდა, აქაც დაინიშნა ჩვენი ბოლქვაძე, შინაგან საქმეთა მინისტრი. ეჯევიტის მოადგილე იყო ისა და ყველაფერი ლეგალურად

გაკეთდა. ე.ი. პასპორტიც საბუთების, იქ ჩემთვის რაც ჩაწერილი იყო იმათ უშიშროებაში ეს ყველაფერი გაქრა.

და იმის მერე, რაქცია, იმას პირველად აქ რომ ჩამოველი, რათქმაუნდა, დავალების შესრულება პირველი მიზანი ჩემი ეს იყო. რავენა, ვეძებ ქართველებს ამ მისამართებიდან დავიწყე. პირველად ვახტანგი ვნახე სუდაძე, ჰოდა იმას მერე რათქმაუნდა, გავაგრძელეთ და გავაგრძელეთ, 1973-ში მე აქ ჩამოველი. სექტემბერი იყო. 1977-ში პირველად წაველი საქართველოში ჩემს ცხოვრებაში.

პ.ბ. - ილია აი ეს მონაკვეთი, შენ აქ გერმანიაში რომ ჩამოხვედი, როგორც ღვენილი ისე ჩაბარდი თუ სანამ საბუთები მოგვარდებოდა...

ი.ხ. - არა როგორც ღვენილი ისე ჩავბარდი. ცოლი რომ აქა მყავდა, აქ ჩამოვედი გერმანულიც რომ ცოტა ვიცოდი ყველაფერი იოლად გამოვიდა. იმ მთავრობამ რომ შეიცვალა და ეჯევითი მოვიდა, საბუთები ყველაფერი გაქრა. აქაც დადებითი პასუხები მომივიდა საკუნსულოში თურქების საკუნსულოში. აქ მუშაობა დავიწყე პედაგოგად თურქულ სკოლაში.

პ.ბ. - ე.ი. მაშინვე ინტეგრირება არ გაგჭირვებიათ ან სამოგადოებაში შესვლა?

ი.ხ. - არა, არაფერი არ დამჭირდა და ყველაფერზე ენა უნდა მეხმარა, რათქმაუნდა აქ ხალხის ყოფნა თურქები, მორქები ქართველები ყველაფერი ნორმალურად წამივიდა. ღვენილი - მეგნილი არ მითხოვნიან, იმიტომ რომ მაშინდელი ღვენილიც ძალიან ბევრნი მიდიოდნენ. გერმანელებთანაც ძალიან კარგად არ გამოჩნდებოდა ეს, ერთ რამდენიმე ადგილას რათქმაუნდა ვუთხარი. მე მითხრეს ამათმა რომ თქვენ აქ ჩვეულებრივი თურქები არ ხართო, გეცნობათო რა ხართ რატომ გამოიქეცი. რატომ წამოხვედი, მე ვუთხარი ქართველი ვარ, ქართველები იქ მცხოვრებ, თურქეთში მცხოვრებ ქართველების კულტურული თავისუფლება გვინდოდა ამისთვის ცოტა გამიჭირდა; ცოტა არა, ძალიან გამიჭირდა. ამაში რათქმაუნდა ძალიან დამეხმარნენ. კი დამეხმარნენ. პირველად საქართველოში 1977-ში წაველი.

პ.ბ. - როგორც ტურისტი?

ი.ხ. ტურისტი არა. ოთარ გიგინეიშვილს ვთხოვე, მე აქედან წამიყვანონ მეთქი, ტურისტი ვერ წახვიდოდი, ჯერ ერთი ტურისტი ჯერ იმაში უნდა მოხვდე რუსეთში, რუსეთიდან საქართველოში ვინ გაგიშვებდა რაიყო. მერე მე თურქეთის მოქალაქე ვარ გერმანიიდან, მაშინ თურქეთის მოქალაქე, გამიჭირდებოდა ძალიან. პირდაპირ ოთარ გიგინეიშვილს ვთხოვე მე, ვახტანგისთან ერთად და მოწვევა მომივიდა გოქსიდან. მაშინ სამოგადოება იყო გოქსი. ერთი გოლიქსი და ერთი გოქსი იყო. ეს გოქსი იყო ათონელის ქუჩაზე, უცხოეთში

მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საზოგადოება იყო ეს. მეღაშვილი წერს, მე მიგზავნიდა. მე აქედან მიმქონდა ესენი თურქეთიდან პირდაპირ წერილი არ მიდიოდა. მაგალითად, ერთი კაცი დაიჭირეს, ასე რა დაწერე, ეს რას ნიშნავს. თურქეთში ჩვენი ჯგუფიდან ბევრი დაიჭირეს. ციხეში ჩასვეს და თან კიდე აწამეს. ამიტომაც ეს მე მიგზავნიდა აქა, და აქედან მე ვუგზავნიდი იქით. ეს ხელით ხდებოდა., ფოსტით ხდებოდა მაგრამ მაგალითად ერთი წერილი 4-5 ჯერ კიდე ვგზავნიდი. ერთი თუ რამე მოხდა, მეორე იმ მისამართზე მივიღეს მეთქი. ასეთი ამბავი და პირველად საინტერესო რა არის, მეორე წასვლა იყო ჩემი იმის შემდეგ 118 ნამყოფი ვარ საქართველოში

პ.ბ. - თქვენ საკმაოდ ხშირად რჩებით.

ი.ს. - 118-ჯერ, კი.

პ.ბ. - ფაქტიურად საქართველოში გიცხოვრიათ.

ი.ს. - კი.

თ.რ. - თან დიდი ხანიც რჩებოდით არა ილია?

ი.ს. - კი, ისა ერთი ქალი გავიცანი მაყვალა რქვიოდა, მეორედ რომ წვევდი. ახლა აქედან გიორგი გორგიშვილმა გამაგანა წიგნები, არალეგალური წიგნები. ესენი ამერიკაში, სან-ფრანცისკოში დაიბეჭდა, წიგნები, ჩოლოყაშვილის ჯგუფის.

პ.ბ. - რა თემაზე იყო ეს წიგნები?

ი.ს. - თავისუფლობაზე, საქართველოს თავისუფლობაზე. მე ვუთხარი რო გიორგი ბიძია, ამ აქედან მეთქი რამდენიმე ცალი მომეცი მე. კი ბატონო. ეხლა ერთ ცალ ვაძლევდი პირდაპირ გიგინეიშვილს, ორ-ორი, სამ-სამი მქონდა. მაშინ ბვიადი ექსელში იყო და კონსტანტინესთან, ბატონ კონსტანტინესთან კავშირი მინდა. მივდივარ მოვდივარ, მივდივარ - მოვდივარ. ივერიაში ვცხოვრობ, მე-16 სართულზე, იმ ქალბატონმა მაყვალამ, ახლა სულ ჩემი თემა სულ ეს იყო, რუსები რას გავიწროვებენ, რუსები რამეს აკეთებენ. ამას ვსინჯავ მე დიპლომატიურად, ამ მაყვალამ მითხრა რომ მეო, შვილიო ჯარში რო გავგზავნეო, ერთმა რუსმა ოფიცერმაო დედა შეაგინაო და ამანაცო, რათქმაუნდა, თავი მოუღუნა იმ რუსს და ციხეში ჩასვესო. წავედი მეო და ვუთხარიო იმის უფროსთანა, რატომ ჩასვით ჩემი შვილი ციხეში რომ ვუთხარიო, აიო ჩვენი ოფიცერი ცემაო, საბჭოთა ოფიცერი ცემაო, ისე მიპასუხაო. ამასაც უთქვია, ჩვენ კავკასიელები ქართველები ვართ. დედა როგორ შეაგინებსო, როგორ გაბედაო თქვენმა ოფიცერმა. იმ ოფიცერმა კიდე უნდა ისწავლოს. ის უგვინო ყოფილაო; კაი რომ არ მოუკლია ჩემს ბიჭს ისაო და გავათავისუფლეთო. აქედან დეიწყო ჩვენი საუბარი. დედაზე შეგინებაზე ჩვენც ვკლავთ კაცს. მართლა. ჩემი ბიძის ძალი შესულა სიმინდის

ყანაში და ძალღმა ორი გოლი სიმინდი შეჭამა, ჭყინტი. იმ მეზობელმაც უთხრა, რო შენი ძალღის ღელაო. ე.ი. შე მაგინე შენაო, ცოცხალია ჩემი ბიძია, კიო, ქართველი. მაშინო მზის ჩაძვრომამდინო, ღაისის ღრომდინო შენ უნდა მოგკლაო, ჩემმა ბიძიამ იმას უთხრა. იმანაც უთხრა, შენს ტყვიას მე ხელით ღევიჭერო. საღამოა, ვახშამის ღრო, ბაბუასთან, მეც იქ ვიყავი, თოფი გავარღა. თოფი არა, რა გავარღა, არ ვიცით. ხმა მოვიღა. ბიძია არ არის სუფრაზე. გავვარღით ყველა. მოუკლია მართლა, ძალღს შეაგინაო. მერე იმ ქალმა მე ღამაკავეშირა კონსტანტინე გამსახურღიასთან.

პ.ბ. - თქვენ 77 ში ჩახვეღით. კონსტანტინე 75-ში გარღაიცვაღა.

ი.ხ. - არა მერე.

პ.ბ. - ეტყობა თქვენ ცოტა აღრე ჩასულხართ.

ი.ხ. - მერე, მერე სახღი რომ არის....

პ.ბ. - კოლხური კოშკი.

ი.ხ. - ხო, იქ მივეღი. მე ღამე მარტო მივეღი. იმ ქალმა ყვეღაფერი ამიხსნა მე ღა რაქვია იმას, მივეღი ღა კარ არ აღებღა ისა. მე ვუთხარი - ასე, ასე. გერმანიიღან, ხიმშიაშვიღი ხარო? კი ბატონო მეთქი. მიმიღო. ვიღაპარაკეთ, მივეცი ისა, ჩოლოყაშვიღის წიგნი მივეცი. ვიცოღი, მაგრამ არ მქონღა ესენიო. შენო აუციღებღად ზეიადი უნღა გაიცნოო, იმან მითხრა. იმ მაყუღამ ღამაკავეშირა, იმ ქალმა, ივერიაში ცხოვრობღა. მუშაობღა სართუღის ის იყო, მორიგე იყო ის ქალი. უფროსი იყო.

პ.ბ. - გვარი არ გახსოვო?

ი.ხ. - გვარი არ მახსოვს. ქალი რომ ღღეს ღავინახო კიღევ ვიცნობ. შავგერემანი მადალი ქალი იყო, რა ჯიგარი ქალი იყო. მერე ძალიან ბევრი ხალხი გავიცანი ოთარ გიგინეიშვიღმა იცოღა, რომ მე რაღაცამე მოვღივარ იქა. ერთჯერზე უარი არ მითხრა, როცა ღავურეკე, იმ წუთას მოწვევა გამომიგზავნა ღა კიღევ თვითონაც მითხრა მე, რომ ამღენი, მთელ მსოფლიოსთან კავეშირები რომ გვაქესო, შენსავითო არავის ყურაღღებას არ ვაქცევოთ. ვიცი მეთქი. ვუთხარი. ოთარი მაგარი კაცი იყო ძალიან.

პ.ბ. - ეხღა რა მაინტერესებს ბ-ნო იღია. თქვენს გარემოში, გერმანიაში ბევრი ქართვეღი წამოვიღა თურქეთიღან არა?

ი.ხ. - კი.

პ.ბ. - ღაახლოებით თქვენ როგორ ფიქრობოთ რამღენაღ ინარჩუნებენ ისინი საკუთარ მეობას, ქართვეღობას აი, ამ გარემოში?

ი.ხ. - ეხღა როგორ არის იცით გერმანიაში წამოსულ ქართვეღები? თურქეთიღი ქართვეღები, იციან რომ ქართვეღი არიან, მაგრამ ეს არ ყოფნის. მაგალითაღ ენა უკვე ღაიკარგა იმათმა. თურქეთიღან რომ წამოვიღენ, თურქული იცოღენ, მაგრამ თურქულიც იკარგება,

წლების მანძილზე იმიტომ, რომ აქ ახლა რამდენიმე ქართველს, რატიქაუნდა, ჩვენ წერა-კითხვა ვასწავლეთ, მაგრამ იმათ ძირითადი განათლება რომ ძლიერად არა აქვთ, არც გერმანული, არც თურქული, ქართული კულტურაზე, ქართულ წარწერაზე, ანბანზეც ღიდი ინტერესი ვერ წვდება. მაგალითად, ახლა მე მიუხეხეში ბიძაშვილები მყავს, წავიდეთ, დაჯდეთ ველაპარაკოთ, ქართულად როგორც მე ვლაპარაკობ ისე, განსხვავება არ არის, მაგრამ ახალგაზრდებმა აღარ იციან.

პ.ბ. - სურვილი არა აქვთ? ადრე კარგი საქართველო არ იყო დამოუკიდებელი.

ი.ხ. აქვთ. როგორ არის იცით? მე სადაც ქართველებში შეიძლება გამოვლივარ - „ბიჭებო რატომ გერმანიაში ცხოვრობთ, წავიდეთ საქართველოში. ერთმა რა შითხრა იცი? ქართულად მეუბნება ამას - დღესო საქართველოო აუსტრიის ღონეზე რომ იყოს წავალ მეო. მთლიანად, მუდმივად წავალ იქაო. მესხები მოყავან, მეიყვანეს ახლა ბევრი საქართველოში, დააბრუნეს. მესხები ქართველები არიან, თურქები არ არიან. იმათმა თურქულიც კარგად არ იციან. ესლა მესხის თურქული, ის თურქი ვარო ამბობს. არ არის ის თურქი ისა, გათურქებული ქართველია. შაეშეთის, ართვინის ქართველები რომ გაათურქეს, იგივე კილო იმათაც აქვთ. მე მივხვდები რომ თუ სხვა კაცმა თურქული ილაპარაკა. სხვა ერის წევრმა, ჩერქეზის ენაზე მივხვდები, ჩერქეზი ხარო, პირდაპირ ვეცყვი მე იმას კილოზე. ის ენა კარგად იცის ძალიან. მესხები ჩამოიყვანეს საქართველოში. მე რა უნდა ვქნა ახლა იცი? თუ მელირსა, თუ არ მოვკვდი, თურქეთიდან ქართველები უნდა წვეიყვანო. ძმაო, ჩვენ თურქეთში ციდან არ ჩამოვარდით. იქიდან ისტორიის სირცხვილია, ჩვენი არა. გუშინწინ რომ მოგიყევი, იოსელიანი რომ შემხვდა ფერეიდნიდან მეთქი და ვიტირეთ მთელი ღამე, ისინიც მოგლიჯეს. ჩვენც მოგლეჯილები ვართ რა. მუშგით გაამუსლიმანეს ეს ხალხი. მერე ისტორია იმან მოაგყუილა. რაც იყო გადააგლო იქით. მე რა შუაში ვარ. მე დღეს ჩემს მამულში მინდა ძმაო. მე რომ მოვკვდები, ანდერძი დაწერილი მაქვს. ჩემი სხივი, ჩემი ეს რაც ვარ, ჩემს მიწას მიემატოს არა უთხარი, ჩემს მიწას უნდა მიემატოს. იქ უნდა დევიმარხო. მე, ვახტანგის ფერფლიც უნდა წვეილო იქით. იმიტომ, რომ მე ყველაფრით იქაური ვარ. მე ის ვარ. მე ასე დამბადა ღმერთმა, რა ვქნა ასეც არის. თურქეთიდან ქართველები უნდა წვეიყვანო ერთ დღეს. მე რაც ვიცი, 200 მდე ოჯახი წაყვანილი მყავს აჭარაში. კი, აბა რა, ის იქაურია. ბათუმში ახლა პენსიაში გასული რამდენი მყავს მე იქ. პენსიას საქართველოში იღებენ ისინი. სიკვდილამდე პენსია უნდა მიიღონ.

თამარ რუსულაშვილი (შემდეგში - თ.რ.) - თურქეთიდან ილია?

ი.ხ. - კი, ყველაფერი გავაყიდე ალაფაზარიდან. არაფერი არ დავატოვებინე. წავიდნენ, ბათუმში ცხოვრობენ ახლა. თავისი ნათესავებიც ნახეს იმათმაც, სახლი თუშენეს. პენსიაც მოღის, მუსლიმანია, იყოს მუსლიმანი. სადაც წავალ, როცა წავალ, მეჩეთში მოვხვდები, იმათ ვნახულობ, ველაპარაკები ძალიან კმაყოფილები არიან. მესხები რაგომ შემიყვანეს იქა. თავის ღროზე სტალინმა გააგზავნაო, ამბობენ. კაი, ბატონო. დღეს იმათი სახლები, იმათი მიწა, იმათი არ იყო ესა. ახლა როგორღა უნდა დაუბრუნონ იმათ. მე რო წავალ, როგორ უნდა დამიბრუნონ ჩემი მიწა, ჩემი ციხე-სიმაგრეა. როგორი ციხე-სიმაგრეა, მაშინ საბუთი არა მაქვს, საბუთსაც მოვნახავ მე. ხიმშიაშვილები გერმანიის ისტორიაშიც არის. დამიბრუნონ მაშინ მიწა, ჩემი მიწა, იმათი არ არის. მესხები რაგომ ჩამოიყვანეს საქართველოში? ევროპის პარლამენტს დაპირდენ ევროპაში მიგვიღონო. იქიდან წამაეწყო ეს ამბავი. ევროპაში, თურქებმა შეიტანეს. მაშინ თურქებმაც დაგვიბრუნონ ჩვენ ართვინი. აი, რუკა განვენო, გერმანელების საქართველოს რუკა. რომელი საუკუნე მე-12, მე-13, მე-14. აჰა მოწმე! ვინ არის - დაგვიბრუნონ მიწა, დაგვიბრუნონ მაშინ. 2-3 ოჯახისათვის თურქეთის პოლიტიკას ემსახურებიან. აჰა, მე არ დამიხატია ესა. გერმანელებმა დახატეს, გერმანელებმა დახატეს. არ ნიშნავს - მსოფლიომ იცის ესა, ევროპის პარლამენტში შევიტანეთ ჩვენ საქართველოში, თურქეთში ქართული ძეგლების დაცვა მოვთხოვეთ.

პ.ბ. - ევროპას?

ი.ხ. - სტრასბურგს. კი, შევიტანოთ ჩვენი საქმე. დღეს იმდენი დაანგრიეს თურქებმა, იმდენი დაანგრიეს ვერ მოვერიენ, ვერ დაანგრიეს ისინი, რაც დარჩა. ისინი ხომ ციდან არ ჩამოვარდა, თურქებმა ხომ არ გააკეთეს? არ ააშენეს? ქართველების იყო ეს, საქართველოს მიწა იყო ესა. აქ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ერთი ანკარის უნივერსიტეტიდან პრაფესორი ქალი ჩამოვიდა და აქოური ყოფილა, თვითონ, თურქეთში ქრისტიანული ძეგლების ლექცია იყო. გრაპომონამდე წვევიდა, იქით აღარ გეღვიდა. მეც მაშინ აქ, თურქულ-ქართულ, თურქულ-გერმანულ საზოგადოების პრეზიდენტი ვიყავი, ჰაიდელბერგის. მე იმ ქალ ვუთხარი რო, გრაპომონში რომ ერთი ეკლესიაა, სუმელა, მთაში იმ ეკლესიის მსოფლიოში ცნობილია ისა, ამენებული. არქიტექტურაში ქართული გავლინება არი, იმ ქალმა თქვა. მარტო ის თქვა, იმის იქით აღარ წვევიდა. მერე, რათქმაუნდა, ლექციის შემდეგ, საჭმელზე დავპატივე მე ეს ქალი, მე ვუთხარი რაგომ გრაპომონის იქით აღარ წახვედი მეთქი. პარხალი, ომში, დავანებოთ თავი. ბაიბურღში მეთქი წყლის არხებია. დღესაც იყენებს თურქეთი

მეთქი. ვინ ააშენა იცი მეთქი? თამარ მეფემ ააშენაო. ქართველი ხარო. კი, მეთქი ქართველი ვარ. აქ რას აკეთებო. მუშა ვარ მეთქი. არა მუშა არ ხარო. ქალმა ქართული იციო? ვიცი მეთქი. სად დაიბადე? თურქეთში რომ არ დაგავიწყდა ეს ენაო - ქალმა. ვიხსუბეთ ნორმალ, გაბრაზდა, წამოვედი მანქანით სახლში, წამოვედი. მაშინ ჩვენ პატრიარქმა მარქუა ერთი გერმანული წიგნი. კაი წიგნი იყო ძალიან. აა მეთქი, გერმანელებთან აი უყურეთ თურქეთში რა არის მეთქი, ეს თურქეთი არ არის, საქართველოა მეთქი. პაუპოზიანიც იქ იყო პრაფესორი ვენიდან, იმ ლექციისათვის პრაფესორები ჩამოვიდნენ ვენის უნივერსიტეტიდან. იმათ ვაჩვენე ყველაფერი. ბოლოს იმ ქალმა მითხრა ჩვენ ქართველოლოგიის ის გავხსენით ანკარის უნივერსიტეტშიო. მაშინ, მეთქი, გაჩუქებ ამ წიგნს მეთქი და ის წიგნიც წაიღო, მივეცი ის წიგნი. ჩვენ ცოცხლად ვართ იქა კაცო, ჩვენ ვართ. მე დღეს ვერავინ ვერ შემცვლის.

პ.ბ. - ბ-ნო ილია, თქვენი მონაცემებით, თქვენის ამრით, დაახლოებით რამდენი შეიძლება თურქეთში მოითვალოს ქართველი?

ი.ხ. - ეხლა მე თქვენ რა გითხრაო. ამ ამბავზე მე მაშინ ჩვენ ოთარ გიგინეიშვილთან ერთად...

პ.ბ. - თუ არსებობს რაიმე აღწერები და სად შეიძლება ნახვა?

ი.ხ. - ახლა გითხრა. ამერიკელი იტალიელი რომ არის, მისი წიგნიც არის აქა. ამბობს 5-6 მილიონი ქართველი ცხოვრობს თურქეთში. ჩვენ ვიცით რომ 10 მილიონზე მეტი ვართ. რომელმაც ქართული იცის. გეცყვი მე ეხლა სად არის. აქ ერთ წიგნში წერია, რომელმაც აღწერის დროს ქართველი ვარო, ის ჩაწერა. 25 ათასი ქართველი ცხოვრობსო.

პ.ბ. - ეს რომელი აღწერაა.

ი.ხ. - გეცყვი. ეი. ქურთები, ლაზები, ზაზა, ჩერქეზი, გურჯ-ქართველები, არაბები. აჰა, გეცყვი. ახლა აქ რა წერია. კოლხიდა. საქართველოში ქრისტიანობა 320-330 წლებში შევიდა, მე-16, მე-17 საუკუნეში ოსმალებმა შევიდა საქართველოში. ახლა გეცყვი მე ლაზებიც ქართველებში თვლის თან ართვინს. ეს წიგნი გამოშვებული 2005-ში. სულ ბოლო აღწერა როდის იყო. 2000-ში იყო 2000-ის მიხედვით, წიგნში მარტო წერია რო 55-60-ათასამდე ქართველი ცხოვრობს რომელმაც ენა იცისო. რომელმაც იმ აღწერაში შეკითხვა არის იქა, რომელი უცხო ენები იცით. მაგალითად მე რომ თურქეთში ვცხოვრობდი მე ვა მბობდი რომ გერმანული, ქართული ვიცი. ქართველი ვარო, ვერ ვამბობდი. იმიტომ იმას არ მეკითხება იქა. პრობლემა რაშია, ქურთების პრობლემა აქეთ დღესაც აქტუალური მდგომარეობა, ხომ იცი რამდენი კაცი მოკლეს ქურთებმა. თურქეთი არ დაიშალოს, თურქეთი არ გაიყოს მიწა. ქურთისტანი - თურქეთი.

ამის გარეშე კიდევ 6-მილიონზე მეტი არაბია თურქეთში. ანტიოქია, ანტიოქიაში რომ წახვიდე არაბულის გარეშე ენას ვერ მოუსმენ. მე მარტო თთარ გიგინეიშვილის დროს რა ქვია იმას, ალაფაზარში, მარტო ალაფაზარში სოფლები ხომ ვიცი რუქაზე, გაგხაზე ყველაფერი. მივეცი მე იმას, წავუღო იქა. 95 ათასი ქართველი გამოჩნდა მარტო ალაფაზარში. ახლა წახვიდე ხაშურში-ჰენდექსში, ბაზარში გაიარე ქართველები სულ ქართულად ლაპარაკობენ. კაცებიც და ქალებიც. 60-70-ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს ჰენდექსში ე.ი. იმ ქალაქის 80% ქართველია. წადი იმაში, მარშანწინ ჩვენ ქორწილის შემდეგ, ჩემი ოჯახით წვევლით შავი ზღვის სანაპიროზე და წამიყვანეს იქ. ჩემი კლასელი იყო ძალიან ბევრი. ქართულ სოფელში წაგვიყვანეს ჩვენ მარტო ქართველები არიან. 800 ოჯახია სულ ქართულად ვილაპარაკეთ. რამდენია მაშინ. დავანებოთ თავი, ამასია წავიდეთ. თურქეთში, ამასია შუა ანატოლიაში, ადანაში, ქართველები არიან, კონიაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ქართული სოფლებია.

პ.ბ. - ეგენი როგორ მოხვდნენ?

ი.ხ. - დაფანტეს...

პ.ბ. - ეს როდის დაახლოებით?

ი.ხ. - მუჰაჯირობის დროს. რატომ იცით? ქართველების ეშინოდათ იმათ. ერთად რომ იყვნენ, ძალა ერთად იქნება მაშინ სხვა რამეს მოიფიქრებენ. ეს ქართველები ჯაფრები ვართ ჩვენ, მაღლობა ღმერთს. ახლა საინტერესო წიგნია რატომ დედე-ქორქეთი. გერმანიაში დაბეჭდილია, თურქეთშიც წაკითხული მაქვს ესა. თურქეთის ვარიანტიც მაქვს, მაგრამ ქართველებს არ ახსენებს. ეს ორგინალი აქ დაიბეჭდა. ქართველებს არ ახსენებენ, ეკლესიები რომ დაანგრის, საქართველოს ხალხს ფულს რომ ართმევდნენ, ეკლესიები, ყველაფერი აქ წერია. აქ გერმანელებმა თარგმნეს ესა თურქულად. სულ ქართველებზეა, მაშინ რა ბრძოლა იყო თურქ-სელჩუკთა დროს, როგორ აწვალებდნენ საქართველოს, როგორ მიდიოდნენ, ქურდობდნენ, ამაში ამ დესტანში წერია ეს ეპოხაა. თურქულ ვარიანტში არ არის ესა, ამოღებულია. რატომ იცი, იქ რომ ქართველები ბევრია, ეშინიათ იმათ, გეიგე. ილუსტრაციებიც არის, რაქვია იმას, გერმანელის, კაი დაბეჭდილია. მე წაკითხული მაქვს ესა. აქ ძალიან საინტერესოა ლიას უნდა წავუღო. ჯერ ერთი ცალი მაქვს. არ ვიცოდი, ასე ყოფილიყო, ხუთ ცალ ვიყიდიდი. სულ ორიგინალიდან არის ეს ნათარგმნი. დაწერილი მაქვს მე ყველაფერი. სულ ბერბენტი ქართველები, ქართველები, ჯაფრი ქართველები, ქართველი მღვდლები აქ არის მითითებული რომელ გვერდებში, საქართველოსთან ბრძოლები მე აღვნიშნე, რატომ თურქული ვარიანტში ეს არ არის? ეშინიათ მათ, იმდენი ვართ ჩვენ 2-3 რომ

ვიყოთ არ შეეშინდებათ. ბევრი ვართ ე.ი. დღეს ენის მცოდნე ქართველი 5 მილიონზე მეტია თურქეთში.

პ.ბ. - აი ჩვენთან, მაგალითად, უნივერსიტეტში, განათლების სამინისტროს ეგიდით როგორი მდგომარეობაა. თურქეთიდან შემოსული ქართველებისათვის არის გარკვეული კვოტები გამოყოფილი სასწავლებლებში; რომ ჩამოვიდნენ და უმაღლესი განათლება მიიღონ საქართველოში. თუ არის რაღაც შესაძლებლობა, რომ რაღაცნაირად მოხდეს თურქეთელ ქართველებში აგიტაცია, რომ მათ იდინონ გარკვეული განათლების მისაღებად ჩვენს უნივერსიტეტებში. განსაკუთრებით ჰუმანიტარულ დარგების დასაუფლებლად; ტექნიკური დარგების, ტექნიკურ უნივერსიტეტში საკმაოდ მაღალ დონეზე ისწავლება, არანაკლებ აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტებისა...

ი.ხ. - ეს კი ვიცი. რა იყო იცო, 1988-ში კომუნისტების დროს წავიყვანე ჩემი ბიძაშვილი თბილისში. იქ დაამთავრა სამედიცინო უნივერსიტეტი. მაშინ ართვინიდან ოთარ გიგინეიშვილის დახმარებით ორი სტუდენტი იღებენ, მესამე ჩემი ბიძაშვილიც შევიყვანე ღვიძლი, იქ ვუთხარი - ეს საქართველოში არ უნდა გააჩეროთ. აქ უნდა დაამთავროს, უნდა წვევიდეს იქით და იქ უნდა ემსახუროს ქართველებს. ცოლიც ქუთაისელი ყავს, ელისო. ახლა ამას რაგომ ვამბობ, ასეთი ძალიან ბევრი გვყავს. უნდა წაიყვანო იქა, მაგრამ როგორ არის იცით? ფული, აქედან ვინც მიღიან, ამბობენ წელიწადში 2000 დოლარი უნდა მოგვცეთო. 2000 დოლარი ბევრი ფული არ არის, მაგრამ იმათთვის ღიდი ფულია.

პ.ბ. - მაგრამ არის უფასო კვოტებიც უცხოელთათვის...

ი.ხ. - თუ არის, მაგალითად, ამ მაფხულს ჩამოხვალთ თურქეთში; ერთად წავალთ, მოკიდე ხელი. იმდენ ფულს მე იმათაც ვამოვნივებ, წვიყვანე ბიჭები, გოგონები რამდენიც გინდა.

პ.ბ. - სურვილი ექნებათ?

ი.ხ. - რაფერ არ ექნებათ კაცო, რამდენიც გინდა. ჭკვიანები ავარჩიოთ ჩვენ თვითონ და ენის მცოდნეც. ენა თუ არ იცის, ვეცყვი მე.

პ.ბ. - სამწუხაროდ, ჩვენები უკავშირდებიან თურქებს და თურქეთი აგზავნის თურქებს, თავის ხალხს. იმიტომ რომ სტუდენტებს რომ ვხედავ, ძირითადად ყველანი თურქები არიან..

ი.ხ. - თავისი ხალხი რომელიც იქ ვერ ეწყობა, აგზავნიან აქეთ. მერე ესენი, რომ დაბრუნდებიან, კიდევ თავის უნივერსიტეტში გამოცდები უნდა ჩააბაროს, იმიტომ რომ იმას არ ცნობს ის. ჩემმა ბიძაშვილმა სტამბულის უნივერსიტეტში ჩააბარა, გამოცდაც ჩააბარა. ახლა იმაში არის, კლინიკის ძალიან ცნობილია ექიმი მსოფლიოში, გულს რომ პლანტაციას უკეთებენ, იმისი მთავარი ექიმის მოადგილეა.

პ.ბ. - ბატონო ილია, კიდეც რა მაინტერესებს; თქვენ ბრძანეთ წინა საუბრებში რომ მე ჩამოვიყვანო ქართველებსო. საქართველოში შეიქმნა გარკვეული საკანონდებლო ბაზა, გათავისუფლდნენ რაღაც გადასახადებისაგან. თუ აღამიანი იქნება დასაქმებული სოფლის მეურნეობის საქმეში, ან მიწას თუ აიღებს, დაამუშავებს. მთელი საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთი არის დაცარიელებული მთლიანად. მე რომ გემო აჭარაში ვიყავი, იქ სხვაგვარი მდგომარეობა... კი, რუსებმა ბევრი რაღაც საშინელება მოგვიტანეს, ბავშობიდანვე მინდოდა იმ მხარის ნახვა, მაგრამ ვერ ვნახულობდი. ესეც რომ ჩავედით, დასახლებული რეგიონია... რუსეთმა ერთადერთი „სიკეთე შეიძლება ის მოიტანა, რომ ის ხალხი, ვერ ჩამოვიდა აქეთ. ვერ დაცალა და არც დააცლევინეს იქაურობა. თურქეთის სასაზღვრო რეგიონი იყო და არ აწყობდათ მთა დაცლილი ყოფილიყო და მოსახლეობა იქ ნაკლები ყოფილიყო. მუსტად იგივე რეგიონი ფშავში, ხევსურეთში, რაჭაში სულ არის ცარიელი, მოსახლეობა არ არის. თან ქალაქელი მოსახლეობა თბილისში ჩამოსული ის რაჭველი იქნება, ხევსური იქნება, ბარში ჩამოსული, მთაში აღარ ადის და მიგდებული იქაურობა. მთა რომ არის დაცარიელებული, შევთავაზოთ სოფლად რომ ჩამოვიდნენ.

ი.ხ. - გასულ მაფხულს ჩვენ ამაზე ვისაუბრეთ თურქეთში. ერთი ძალიან ჭკვიანი ბიჭი გვყავს, ქართველი მეღამეილის ჯგუფიდან, ნური ოქროსფერიძე გვარად. ქალაქ თოქათოდან არის ეს ბიჭი.

პ.ბ. - ოქროსფერიძე თუ ოქროსცვარიძე?

ი.ხ. - ოქროსფერიძე.

პ.ბ. - ხო ოქროსცვარიძეა ჩემი დოქტორანტი.

ი.ხ. - რუსჩუ ბოსქეთ ძალიან ცნობილი ეკონომისტი. ჩვენი რა მოვიფიქრეთ იცი? მე დავავალე ისა, ათ დღეში შეასრულა. თურქეთში ქალაქ ბოლუში არის ერთი ფერმა -თხა. რაგომ თხა, თხა ტყის მტერია ხომ იცი, მაგრამ თხის რძე ხომ იცი? ამიტომ ის თხა რომელიც ტყეს არ აღიმიანებს ერთი ჯიში გამოუგონიათ იმათ. ამისთვის მჭირდება მარგო 100-150 ათასი დოლარი, არაფერი არ არის. თხის რძე არის ყველაზე საუკეთესო. პირველი აღამიანის რძე, მერე თხა და მერე ვირი. ვირის რძე იშვიათია ძალიან. ესეც, ჩვენ ეს მოვიფიქრეთ, როგორ დავეხმაროთ ჩვენს სამშობლოს და იმან შეასრულა ამის პროექტი იმან გააკეთა იმ ოქროსფერიძემ. წვევიდა, ის ფერმა ნახა იქა, იმათ დეელაპარაკა, იმ კაცმა უთხრაო, კი ბატონოო, მეო იქ ყველაფერ ავაწყოფო და თქვენ რძეს მე ვიყიდით, იმ კაცმა უთხრა, ჩვენ არ გვინდა რძე თურქეთში გავყიდოთ.

პ.ბ. - ჩვენ ვიყიდით. დმანისის რაიონში, ჩვენ იქ გათხრები გვაქვს, იქ ერთი პერიოდი თათრები წავიდნენ, ამერბაიჯანულ მოსახლეობას

ეხლა ისევ შეუსყიდიათ. იქ ფაბრიკა იყო ძალიან კარგი ყველის. აზერბაიჯანმა შეისყიდა. და იმ აზერბაიჯანს არ ჯობია თურქეთელმა ქართველებმა შეისყიდონ.

ი.ხ. - აბა რა; მე ეხლა, მაგალითად, ალაფაზარში ძალიან შარიანი ქალაქია, კოსმოპოლიტ, კაცი მოკლული მტერი ყავს, ოჯახს გავრცელებული ბავშვები ათი ბავშვი ყავს 15 ბავშვი ყავს. ცუდი ხალხი არიან. ენა იციან ძალიან კარგად ქართული. იმას მე იქიდან მოვგლეჯავ. აი საინტერესო რა არის იცი? იმ პერიოდში ფერეიდნიდან ქართველები ჩამეიყვანეს კახეთში. მე ის პერიოდი ძალიან კარგად ვიცი ახლა ამათ, მოსახლეობამ ტრაქტორი მისცა, ძროხა მისცა, ეს მოსცა, ის მისცა, მარმაცებიც ხომ არიან ირანში. ზოგიერთმა დაბრუნდნენ უკან. ესენი გაყიდეს, იმ ფულით დაბრუნდნენ უკან. ოთარ გიგინეიშვილმა მითხრა რომ ერთი კახეთში წაგიყვანო და ერთი ამათ ღველაპარაკეო. მერეო ვუთხარი რა გაუკეთეთო. ყველაფერი, ყველაფერი, გადაყენენ იმათ. უთხარი რომ ამათ არაფერ არ უნდა მისცეთ თავიდან, დასაწყისი ფული მიეცეთ, ბინა თვითონ ააშენოს, ხე თვითონ ჩანერგოს, აღარ წავა მეთქი - ვუთხარი. მართლა აღარ წვეილენ.

პ.ბ. - მისი მონაგარი რომ არის, ადვილად ვეღარ თმობს.

ი.ხ. - ხო, ახლა ერთ ალი არის, მეორე კახეთში რომ იყო საზამთროების ბოსტნები ქონდა. მე წვევლი იმის სახლში, მოკვდა ის კაცი. საგარეჯოში, დავითი ქვიოლა იმ კაცს, სიღნაღში. იმ კაცმა აღმოსავლეთის ენათმცოდნეობის ინსტიტუტში მუშაობდა, ის ალია კიდევე მუსლიმანი, ყიზილბაში მუსლიმანი. მაგრამ მაგარი ქართველია, ახლა ვაჭრობაც ღეიწყო, ასე შემდეგ. მე მაგალითად, ყველაზე ნაკლებ პირდაპირ ამ ზაფხულს რომ წვეილეთ ერთად, ერთი ათ ოჯახს გიშოვი შენა, ყველაზე ნაკლებად, წაიყვანე იქით, გადაასახლე. იქ იცხოვროს, თავისი სამშობლოა ისა, მორჩა და გათავდა. რამდენი გავეუგზავნე ალაფაზარიდან კაცო. სახლი ხომ არის, ყველაფერი გავაყიდინე.

პ.ბ. მ. კოსტავას ფონდი რომ ყიდულობდა აღრე.

ი.ხ. - ისაა.

პ.ბ. - ბერძნები რომ მიდიოდნენ და თათრები, კოსტავას ფონდმა შეისყიდა სახლები. ქართველების ჩამოსახლება უნდოდათ, მერე მოხდა გადატრიალება და გაჩერდა ეს საქმე. ეს სახლები, მიგდებული, ბერძნებმა სხვათაშორის კი ჭკუა ისწავლეს და უკან და უკან იწყებენ ჩამოსვლას.

ი.ხ. - საბერძნეთი ეხმარება იმათ, იმას უნდა თავისი პოლიტიკა გაატაროს კავკასიაში, იმიტომ რომ საქართველო ჭიმკარია ამის.

პ.ბ. - ქართველები კი მიდიან...

ი.ხ. - ახლა თქვენ გეგონათ ევროპელები ამერიკელები და ა.შ. ესენი ყველაფერი ზღაპარია. თურქები იმ მესხებს ფულ აძლევენ. გუშინ წინ აქ ტელევიზორში ლაპარაკობდნენ მეო, ამბობს ის მესხი, საქართველოს მოქალაქეობაო არ მერიდებაო, მაგრამ ჩემი ადგილი მინდაო. რატომ შენი ადგილი გინდა, ანატოლიაში ადგილი არ არი? თურქეთში, იმხელა უზარმაზარი ქვეყანაა, ჩაასახლეთ იქ. არა, იქ უნდა იმას ის, რომ იქ იქნება, იმის პოლიტიკა გარდება. მე, მაგალითად ახლა, სულით და გულით მინდა საქართველოში ვიცხოვრო, მაგრამ აქ საქართველოს პოლიტიკას ვატარებ, საქართველოს ინტერესებს ვსცავ.

კიდევ ერთი - გლობალიზაცია არის სუფთა გიჟობა, სისულელეა, რატომ უნდა თურქ რო შუააზიიდან, ურალიდან, თათარსტანიდან ჩამიეყვანოს თურქები იქ ჩაასახლოს? რატომ გაატარა სტრასბურგში ესა? რატომ დაუყენა სტრასბურგმა საქართველოს რო მესხები უნდა ჩამიეყვანო? რატომ არ მოყავს თავისი გერმანელები ურალიდან? ყაზახსტანიდან? იმიტომ რომ იქ ეხმარება გერმანია იმათ და მე დამჩესო. ჩვენც, ჩვენ ქართველებს ვეუბნებით თურქი ქართველები, ე.ი. ვაღიზიანებთ, ვაგიჟებთ ამათ ჩვენ. არ შეიძლება ასე რამე, მე მაგალითად ამისი საშუალება და დრო რომ მქონდეს წავალ საქართველოში, ვისწავლი მღვდლობას, ამის ჭკუაც მაქვს, ამის ენერჯიაც მაქვს და ჯანმრთელიც ვარ დღეს, ვისწავლი და დავბრუნდები თურქეთში. იქ მოლობას დავიწყებ მაგრამ მღვდელობას ჩავატარებ.

პ.ბ. - ყურანიც ხომ ითარგმანა ქართულად...

ი.ხ. - არა, ბიბლია მე ქართულად წავიკითხებ. ისე შევატრიალებ მე იმას, რომ ვერც მიხვდება ის საწყალი და დაბრუნდება. ამბობენ, დღესაც ამბობენ ჩვენ ქრისტიანები ვიყავითო, იქიდან გელევიყვან იქით. მე ხომ გითხარი წელან, პავლიაშვილმა რა მითხრა; თურმე კაცი ეკლესიაში დადიოდა, მე არ ვიცოდი ესა. ჩემი მამა, აი ამას ჩავსკვავ მე იქა, მოვქსოვ ასე. ეს პოლიტიკა ჩვენ არ გვაქვს, მაშინდელ დროს ნიკუშასთან (კიოლოზ კეკელიძე) ერთად ჩვენ დაგვეგმული გვექონდა ესა, ქართული ეროვნული აზროვნების გავრცელების საზოგადოება.

პ.ბ. - ვის დროს ეგა?

ი.ხ. - ნიკოს, კეკელიძე, რომ ააფეთქეს, იმას და მე უნდა ჩამოგვეყალიბებინა ესა, მაგრამ მოკლეს ბიჭი, ასე დარჩა. ჩვენები, მე მაგალითად საქართველოში მინახია, მაგრამ როგორც მე მსურს, ისე ბევრი არაა სამშობლოს მოყვარე. გადაგიკებული არიან კაცო. მე თურქეთში ვეუბნები კაცო, დღეს საქართველოსა და თურქეთ შუაში ომი რომ მოხდეს რას იზამ მეთქი, გადავალ იქითო ამბობს

კაცი. ქართველი ყიდის რუსს, თურქს ყიდის თავის სამშობლოს ემოს, რაფერ შეიძლება ესე კაცო. იმ მიწას რომ მოუჭირო ასე სისხლი იწვეთება იმიდან, ჩვენნი წინაპრების სისხლი. ის იმას არ ფიქრობს, ყიდის ქურდობს, მშვიერი ვარო. კაცო, თქვენ ხომ მოგიყევით კაცები ჭაობაში დატოვებს, მიატოვებს, მოკვლენო, იმათმა არ იქურდენ, ისინი კი თავის მიწას ყიდიან. წელან თხის ამბავი რომ მოგიყევი. წავიდა რუსჩუ ბოსქეთ ხაშურში, რომ შუშის ქარხანაა, რომ აამენა ის ბიჭაა ისა, ჩვენ მოვიფიქრეთ თხა. ქართველები უფრო ჯანმრთელები იქნებიან. ამიგომ ვიფიქრეთ. წელი არ გამიცვიდესო, ჩემ ბაბუა, სარტყელი ქვია იმას, სარტყელით მოხვევდა ჩვენ ეს მოვიფიქრეთ იქა.

პ.ბ. - დმანისის რაიონი არის გადასარევი. ესლა რაგომ ვამბობ ამას, იქ ჩვენი პროექტი ხორციელდება, არქეოლოგიური, თან რეგიონი არის ძალიან საინტერესო, ბუნებრივი პირობები არის ბრწყინვალე და მიტოვებულია თითქმის იქაურობა. 97-ში ჩვენ პირველად რომ ვიყავით მანდ, დათესილი იყო ხოდაბუნები. ესლა ვიყავით წელს, გავერანებულია. მეგონა, რომ კიდევ უკეთესად წავიდოდა საქმე. არადა პრიქით, სულ დაიცალა იქაურობა, სულ წავიდა სოფლებიდან მისახლეობა....

ი.ხ. - სად მიდიხარ კაცო? შარშან იყო. ბათუმიდან ერთი კაცი ჩამოუყვანიათ ქართველი, ასწავლიან იქ ფანაგოკოსები, ვუთხარი რას სწავლობთ აქა მეთქი, ამას ამას...შენ მეთქი უკუღმა გასწავლიან ძმაო, მე აქ დაბადებული ვარ, აქ გამრდილი, მე არა მჯერა ამათი, შენ რა გაჯერებს ამათი, სწამლიან ესენი, ამასი პოლიტიკა არის. მუსლიმანობის მცოდნე, მართლა თუ იცის და სწამს ცულ რამეს არ ამბობს, გადაკეთებული ჭკუა არის ფანაგომში და დღეს მაგალითად სუფთა ფანაგომშია. არაბები უნამუსო ღორები არიან, ღორიც არ თქვა იმათზე, ღორ ეწყინება. საუდი არაბეთის პოლიტიკა უნდა რომ სულ მეფეობა იყოს. ხალხის მასა კი მშვიერი იყოს, იმან იმეფოს და იგულოს. თურქეთშიც დღეს ესეა, დღეს დიდი ბრძოლაა თურქეთში, ქურთები, ფანაგომში, ქემალიზმი. ქემალიზმი სამიმ მდგომარეობაშია, ათათურქის პრინციპი, იმიგომ რომ ათათურქი მოდერნი, თანამედროვე კაცი იყო თავის ხალხისთვის და მართლა ჭკვიანი კაცი იყო ძალიან. ახლა ვინც ნაყიდი კაცია, გაყილია. არაბებისგან ფულით. ისინი ათათურქის წინააღმდეგაც მიდიან. ფუნდამენტალიზმი, ფანაგომში. ეს ქართველებშიც არის რამდენიც გინდა. მე მინდა ამიგომ, რომელ ქალაქში ვინ სად ცხოვრობს იმას პირდაპირ ვიშოვნი. პრობლემა არ არის, გაჭირვებაში ვეცყვი - მოდი შენ ჩემთან, იქით, გაყიდე აქ რაც გაქვს ყველაფერი, არაფერი არ დაგრიხს, გადადი იქით.

პ.ბ. - ჩინელები ჩამოდიან, ისინი ყილულობენ კახეთში მიწებს...

ი.ხ. - ყაზახები კიდეც საქართველო გაყიდეს. ეს როგორ შეიძლება. ამიტომაც მე სულ ამისი მომხრე ვარ რათქმაუნდა დრო რომ მექნება გავალ აქედან, წავალ მე სულ ამაზე უნდა ვიმუშაო მღვდელობა არ მაგიწყდება.

პ.ბ. - ევროპის უნივერსიტეტებში ყველგან არის თეოლოგიის ფაკულტეტი. მაგალითად, აქ, ჰაიდელბერგში, არის ორი განხრით, ევანგელისტური და ლუთერანული განხრით. ჩვენთან რომ გაკეთდეს რელიგიისმცოდნეობის ფაკულტეტი, ან ჯერ სპეციალობა, კულტურული კვლევების განხრით, ორი მიმართულებით. ქართველები არიან მუსლიმანებიც და ქრისტიანებიც. გვქონდეს ჩვენ ორი განხრა. ქართულად რომ ვასწავლოთ ჩვენ მუსლიმანს და იმ აჭარელს აღარ ქონდეს საბაბი თურქეთში წასვლის. ჩვენ ვასწავლით.

ი.ხ. - მე ვასწავლი.

პ.ბ. - მე მექნება აქ თეოლოგიის ფაკულტეტზე ისლამისმცოდნეობა.

ი.ხ. - ახლა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში ერთი პრაფესორია გოლური. ევროპაში ცნობილი კაცია, ლიბანიდან არის, თვითონ კათოლიკეა, ასწავლის მუსლიმანობას, ისლამმცოდნეობას. ესლა რა არის, ბიბლიას რომ ჩახედო, ყურანი იქიდან მოპარულია. ეს წიგნი არის დაწერილი 25 წელიწადში სახლი რომ დაიწვა იქიდან გადარჩა. მაქსიმ რობინსონ, ინგლისელია ეს კაცი 25 წელიწადი ამაზე იმუშავა, ბიოგრაფია მუშაბედის. კაცო არაბული ძალიან კარგად იცოდა (მუშაბედმა პ.ბ.), მოკვდა ის კაცი. ეს წერს რომ ამან წერა კითხვა იცოდა, მუსლიმან რომ კითხო, წერა-კითხვა არ იცოდა იმან. იცოდა მდიდარი იყო, ვაჭარი რომ იყო, იერუსალიმში, დამასკოში რომ მიდიოდა სულ ამას სწავლობდა ბიბლიას, იუდეიზმი, იქიდან გადმეიტანა აქეთ და თვითონ მოიგონა. ჭკვიანი იყო. ახლა მაგალითები აქვს, იმ მაგალითებიდან გადაამუშავა. ეს ქართველს, მუსლიმან ქართველს უნდა გააგებინო, მერე თვითონ იფიქრებს, აა მეც უნდა წავიკითხო ეს ბიბლია აწი აბა. ფსიქოლოგიურად ის გადავა იმაში მერე. იტყვის რომ ეს უფრო მართალია. შეადარებს, მაგრამ ძალიან ჭკვიანად და კარგად უნდა ასწავლო ესა. ამას ჭკუა უნდა კაცო. ამის გარეშე არ გამოვა.

ჩემი ბაბუა მიყვებოდა ახლა მომახსენდა ესა, მტერი შემოსულა საქართველოშიო, ყოფილა ერთი თევდორე ბერი. იმდერაო ცყვედ დაჭერილი ყოფილა-ხალხოო მტერი მოდის გაიქცეო, გაიქცეო. იმათ ეგონათ რომ ეს ლოცულობდაო და სოფლები გადაარჩინაო, რომელი მტერი იყო არ ვიცი თურქები იქნებოდნენ ან ირანელები. თევდორე მღვდელმა გადაარჩინაო სოფლები, მუსლიმანი კაცი ამბობდა ამას. ჩემ ბებია ხომ მითხრა, ჩემი ბიძია მახსოვსო ჩუმად ეკლესიაში დადიოდაო. ასეთი საქართველოში ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი.

პ.ბ. - ბატონო ილია, როგორ გგონიათ, ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რა უნდა გაკეთდეს რომ თურქეთელი ქართველები მოვიზიდოთ საქართველოში დასასაქმებლად. მარტო აგიტაცია ხომ არ ეყოფა. რა პირობები უნდა შეიქმნას სახელმწიფოსაგან?

ი.ს. - როგორ არის იცი? მაგალითად 60-წელიწადზე მეტი, 70-წელიწადი გახდა ეს მესხი თურქები რომ არიან, მესხები თურქები არა, ისინი ქართველები არიან. ძირითადად დღეს კიდევ ენა გაგვიხილი არა აქვთ, ქართული კილო აქვთ იმათ, ქართველები არიან. მაგრამ თავის თავს გრძნობს თურქად. გუშინწინ აქ ტელევიზორში რომ ვუყურე, ის თურქი რომ ყოფილიყო ამას არ მოითხოვდა. ქართველი, ქართული სული. მიდის იქა, ამბობს, კაცო მეო არ მერიდებაო საქართველოს მოქალაქეობაო, ჩემი მიწა მომცენო. ე.ი. ამ კაცს უნდა რომ დაბრუნდეს იქ. თურქსაც აწყობს საქართველოში იმისი ჩამოსვლა იმიტომ, რომ ამას მერე ის გაბერავს რადიოთი, ტელევიზორით, ამით, იმით. მერე ის მოითხოვებს თავის სკოლასაც, მოითხოვებს. ჩვენ ერთი აქცია გავაცოცხლეთ თურქეთში, თურქეთის ტელევიზიამ - თურქეთში მცხოვრებ ხალხების ენების სწავლა. ქურთებმა-ქართული, ჩერქეზული, აფხაზური, ქართული არ არის. რატომ არ არის? ქურთები თავის ხალხში ქურთულად ლაპარაკობენ. დიდი ინტერესი არ გამოჩნდა ქურთებისაგან ტელევიზიის ქურთულზე. ჩერქეზებმა, ჩერქეზების სახელმწიფო ისე ძლიერი არ არის. ვერ ეხმარება იმათ. იქ შეინახეს რაც შენახულია იმით კმაყოფილნი არიან ისინი, ჩვენ ამდენი ხალხი ვართ, ქართული არ არის, მივწერეთ, კაცო ამდენი ქართველებია, საქართველოა ერთადერთი მემობელი ქვეყანა, რომელიც არის პრობლემის გარეშე საქართველოა. თქვენთან ირანთან პრობლემები აქვს, სირიასთან, საბერძნეთთან. მარტო ერთადერთი ქვეყანაა საქართველო, იმიტომ რომ ჩვენ აქ ვართ, იმიტომ ასეა. ესეც დავწერეთ, მეც მივწერე, რომ გაფრთხილებთ. აქ სულეიმან დემირელს წერილი რომ დავუწერე, მსოფლიოდან ორიათას შვიდასი მარტო აქედან გავიდა. მივწერე, თქვენ გაფრთხილებთ ჭკვიანად იყავით, ჩაწერილია იქა, ეს მარტო თხოვნა იყო. სულეიმან დემირელს ერთადერთი წერილი მივწერე. იმას პასუხი მე მომივიდა, წავიღე და იმას მივეცი, გაიომ გალდავაძეს, ის პასუხი.

პ.ბ. - ე.ი თურქეთმა რომ აღიაროს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ი.ს. - სხვა წერილიც მაქვს, იქ მივწერე მე სულეიმან დემირელს, დღეს მეთქი, რომ მსოფლიოში ყველგან წამყვანი ხალხი ქართველები არიან, თქვენი ჯარის სარდლებიც ქართველები არიან და გთხოვთ ახსნაგების ამბავში ჭკვიანურად მოიქეცით. იმიტომ მაღრიდში რომ გამოვიდა ხმაზალა საქართველოს მთლიანად უნდა დაცვას მთელ

მსოფლიოში, იყვინა, იმ წერილების მერე იყვინა იმან, სულეიმან ღემრელმა. ისიც ჩაატანია იქა, ჩააწერინა, საქართველომ უნდა სთხოვოს თურქეთს პირდაპირ რომ ქართული თქვენთვისაც სასარგებლო იქნება. ქართულ ტელევიზიაში ასწავლეთ. ჩერქეზების არი, ის არის ეს არი, რაგომ ქართული არ არის? ჩვენ ყურადღება არ მოგვაქცეს.

პ.ბ. - რას გვეტყვი ფესტივალ „ჩვენებური-ს შესახებ? იგი პრემილენგის ღელის ხელშეწყობით ტერლება...

ი.ხ. - ღიდი სიფრთხილეა საჭირო. სააკაშვილის ღელასთან ახლა ყოფილა ფეთულაჰ გულენთ - ერთი კაცია, ახლა თურქეთში ვერ შეღის - ფუნდამენტალისტია. მაგალითად, თბილისში რომ თურქეთს უნდოდა უნივერსიტეტის გახსნა, მიწა რომ იყიდეს ბაზალეთთან. მაშინვე აქედან წაველი საქართველოში, მე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრიც ვარ. იქ ვთხოვე - კაცო, ეს არ მიყიღოთ ამათ, არ უნდა მიყიღოს იმიტომ, რომ ის კაცი აფინანსებდა ამას, ისლამისტია. მე რა შემომთავაზეს იცი? ალბარაქა ბანკმა (არაბეთის) არაბული სიგყვაა, კიოლნიდან დამირეკეს ერთი ათი წლით აღრე იყო 11-12 წლით აღრე, აჭარაში წყლის ქარხანა გაფხსნათო, შენო დაგვეხმარე, ფულითო რაც გინდაო გავაკეთოთო. მაშინ სიგუა იყო პრემიერ მინისტრი. რა პირობებით მეთქი? - ვინც უნდა იმუშაოს ყველა მუსლიმანი უნდა იყოს. არც მინობენ. საიდან მომნახეს არ ვიცი. ფული პრობლემა არ არის. ბანკი ამბობს ამას. შენ მარტო დაგვეხმარე. მე ვუთხარი, რომ თქვენ ძაან მეთქი უკულმა მისამართზე მოხდით, მე ფულით ვერ მიყიღით, ძაან ცუდი სიგყვები ვუთხარი შევაგინე, წვეიდა. მე რომ საქართველოში წვეელი, ვუთხარი - ასეთ რამეებს აპირებენ, მე შემომთავაზეს; უარი ვუთხარი.

პ.ბ. - სხვას მოძებნიან.

ი.ხ. - მოძებნიან რათქმაუნდა ე.ი. ფულით შესვლა გაჭირვებულ ქვეყანაში ძალიან იოლია. ყველა ხომ ილია ჭავჭავაძე არ არის, 70წლის კაცი მოკლეს. ღღეს კიდეე მოკლავენ.

პ.ბ. - აგერ 54 წლის კაცი არ მოკლეს? ზვიადი.

ი.ხ. - ხო ზვიადი მოგვიკლეს. ისა თავისუფლებისათვის შეწირული, თავი შეწირა კაცმა, ის მოგვიკლეს. ამიტომ ეკლესიამ ძალიან ღიდი აქტიუობა უნდა გამოაჩინოს. პედაგოგები ძირითადად ისე უნდა გაამზადო, რომ იმ პედაგოგმა სადაც წვეა სოფლებში, ქალაქში, ხალხი უნდა პატრიოტობა, სამშობლოს სიყვარული უნდა ასწავლოს. იმან ხალხ ხე უნდა ჩაანერგინოს, იმ კაცმა ისე გაამზადებული უნდა იყოს გვინით, რომ და ხელითაც. კიდეე, ყველაფერი უნდა შეეძლოს იმას - მუსიკა, ექთნობა, გლეხობა, ასეთი უნდა გაამზადონ; ღღეს მაგალითად ამას აკეთებდა გერმანელი პედაგოგი, ცნობილი ფესტალოცი, ხომ

მიმიხვდი, საფრანგეთში ეან-ჟაკ რუსო ემილი ქვია ერთი წიგნი აქვს იმას, იმ წიგნში ერთ ბავშვს ზრდის ბუნებაში ბუნებით შერიგებული.

პ.ბ. - ჩვენთან - იაკობ გოგებაშვილი...

ი.ხ. - ხო, იმიტომ რომ სულ ბუნებაში რომ იქნება და სულ რომ ჩანერგავს, ჩანერგავს, თავის ქვეყანას ააყვავებს, კიდეც აქვს იმას საჭმელი, იმას ვერ იყიდი, ხომ სწორეა, ასე უნდა გაამზადო. პედაგოგი სკოლას ამთავრებს, ქალაქში გარბის, წავი შენს სოფელში კაცო.

პ.ბ. - ეხლა კანონი მიიღეს - ჯარიდან თავისუფლდება ახალგაზრდა კაცი, თუ ის სოფელში მუშაობს მასწავლებლად ან ექიმად. ეს არის სამხედრო სავალდებულო სამსახური, როგორც ალტერნატიული. ეხლა, საუბარმა მოიგანა ბატონო ილია და გვიამბოვებთ თქვენი კონტაქტების შესახებ ეროვნულ ხელისუფლებასთან. როგორ გაიცანით ზვიად გამსახურდია, რა ურთიერთობა გქონდათ?

ი.ხ. - ზვიად გამსახურდიასთან მე მიწერ-მოწერა მქონდა. პირველად ფიზიკურად აირ ჯორჯია რომ ჩამოვაყალიბეთ, მაშინ მივედი ბატონ ზვიადთან, ერთად მიტინგზეც გამოვედით, შორიდან მე მიცნობდა ძალიან კარგად და თქვა რომ თუ ბატონ ილიამ თქვა და დაგეგმა ეს საქმეო, ეს საქმე უნდა გაკეთდესო... პირდაპირი კავშირები მანამდინ არ შეგვეძლო, იმიტომ რომ მე აქედან მივდიოდი, ის თვითონ საქართველოში არ იყო, სხვაგან იყო ციხეში. ზურაბ ჭავჭავაძის მეშვეობით ვაკეთებდი ყველაფერს. ზურაბ ჭავჭავაძე ნინოს ნათლიაც არი, ჩემი ნათლიაც არის. ერთი ზურაბი იყო, მეორე კიგა ჩხენკელი. ზვიად გამსახურდია სახელი ჩვენ თურქეთშიც რომ ვიყავით იქიდანაც ვიცოდით.

პ.ბ. - მელაშვილთან რომ იყავით?

ი.ხ. - კი, იქაც გვანათლებდა ისა და ვამბობდი სულ, რომ თავისუფალი იქნება საქართველო, სულ იმით გავიზარდეთ ჩვენ. კავშირები იმის შემდეგ გავაგრძელებთ, ერთი იმისი გვარი აღარ მახსოვს, ჯემალი იყო, ზვიადის წრეში. იმასთანაც კარგად ვიყავი, მერაბ კოსტავასთანაც, რათქმაუნდა. სულ ამაზე ვფიქრობდით რა. ახლა დღეს რაც ვილაპარაკეთ. იქ მევით მწერალთა კავშირში რომ მივდიოდი აღმართზე, რესტორანი იყო, კოპერატივი იყო მაშინ, კომუნისტების დროს. რაქვიოდა აღარ მახსოვს. ჩაკეცავდით ჩვენ იმ რესტორანს და ამაზე ვფიქრობდი სულ. ამ რუსებს რა ვუშველოთო, მე ვუთხარი ეს რუსები უნდა გამოვიყენოთ, მე მეთქი ძალიან ანტირუსი ვარ, შენც იცი, მეთქი. კი, ვიციო, როგორ არ ვიციო, მართლა ანტირუსი ვარ, რუსული ერთი სიტყვაც არ ვიცი. ამდენი წელიწადში რუსულს ვისწავლიდი, მე ესე უჭკუო არ ვარ. მაგრამ ანტიპაგია რომ მაქვს, იმიტომ არ ვისწავლე. მოკლედ ნახევარ მილიონზე მეტი რუსია

აქაო, ვუთხარი გამევიყენოთ. ერთ მაგალით მოგცემ მეთქი, თურქებმა თავისუფლების სამამულო ომის შემდეგ მილიონ ექვსასათასი ბერძენი გაგზავნეს საბერძნეთში. იქედანაც თურქები ჩამეიყვანეს, ოსმალების თურქები. იმ ბერძნების გასვლამ წელი არ გაუსწორა თურქეთს, იმიტომ რომ წამყვანი ეკონომია იმათი იყო, სომხები დახოცილნი იყვნენ, ფული იმათ ქონდათ, ენა იმათმა იცოდნენ უცხოენები და ა.შ.. იმის ადგილზე მოწვრთნილი გამზადებული თურქი არ ყავდა თურქს და ამიტომაც ვერ გაიმარჯვა ჩქარად ათათურქის დროს. აი ეს მაგალითი მოვუყევი. ჭკვიანურად არი. შენ ერთხელ მოგიყევი მე, იარაღის სისტემიდან უნდა გამოხვიდე. შენი იარაღი შენ უნდა გამოუშვა, თავის დროს მე მაშინ შევთავაზებ ესა, თანახმა იყო. ბატონი ზვიადი ძალიან ჭკვიანურიყო, მეო ოქროს მოგცემო, გავაკეთოთო, საიდან გავაკეთოთ, რუსი არ მოგცემს ამის ტენიკას. წავედი თურქეთში. თურქეთმა თქვა, ჩვენო საქართველოს მხარე ვუჭერთო, მაგრამ რუსეთი დიდი ბაზარია ჩვენთვისო, რუსეთის წინააღმდეგაც საქართველოს ვერ დავეხმარებითო. თურქეთის მესამე არმიის სარდალი იყო ერთი აღილა ატეში ცეცხლაძე-იმასთან წავედი. დევნებართოთო კაცო, რაფერ დევნებართოთ ახლა. ის მესამე არმია პატარა რამე არ არის, მოდიოთ თოფი შევიტანოთო, თოფის ტენიკას მივაყვამინებო, მერე ესენი გადააკეთებენ იარაღზეო. დღეს კიდევ ამას ვფიქრობ მე. იმიტომ რომ საქართველომ თავისი იარაღი უნდა გამოუშვას. მტერი შენ კარგ იარაღ არ მოგცემს. მერე იარაღი ფულია, ხუთასი გრამი რკინა 1000 დოლარი, რკინა რა ღირს, 1 დოლარიც არ ღირს საქართველოში. ეს უნდა გამოუშვა. შენ უნდა გამოუშვა შენი. მერე გადააკეთებ, იმას განვითარებ, მარბაზანსაც გამოუშვებ, ავტომატსაც გამოუშვებ, ყველაფერს გამოუშვებ. ეს უნდა გაკეთდეს საქართველოში. წელან რომ ვილაპარაკებოთ თხის ამბავი, აი იგივეა ესეც.

პ.ბ. - იყო ესეთი მცდელობა, დელტაიყო გაერთიანება, მერე გაჩერდა.

ი.ხ. - მე ამ ზაფხულს ველოდებოდი კაცო აბხაზები და ქართველები არიან ღურჯეში, ქალაქ ღურჯეში არის იარაღის ქარხანა. ჩეხების სისტემა აიღო და წელიწადში ორასორმოცდაათ ათას თოფ ყიდის ამერიკაში. იმხელა იარაღ უშვებს ის, იმათ დავაინტერესებ მე ისინი. საქართველოდან ინტერესი არ გამოჩნდა. ფულიც არ ჭირდება ბევრი, რკინა არი რა. ორი ჩარხი. ადაფაზარში ქართველები უშვებენ შავად, იმათ ჩამოგიყვან მე. შავად უშვებენ. რას ყიდულობენ იცით? რითი უშვებენ გემების მარბაზნები რომ არის, სამხედრო გემების, იმის ჯართს ყიდულობენ იმით უშვებენ. ე.ი. ფაბრიკის იარაღზე კარგი იარაღი გამოუშვა ქართველმა იქა. თვითმფრინავი გამოუშვა წერაკითხვა არ იცის კაცმა. ქართველმა ააფრინა. ეს კი ვერ იფიქრა

დაჯდომა და ჩამოაგდეს კაცი. მართლა გეუბნები. ფულს ბეჭდავენ კაცო ჩვენთან ქართველები, ჩამოგიყვანთ იმათ თქვენ მე იქა. ღარმშტალში ჰიმშით ქეშბელ შემომთავაზა, ქართველი მინისტრების იყვნენ, შოთა იყო ჩამოსული, მეო ქარხანა გამახსენებინეთ იქაო, სტამბაო, თქვენს ფულს უფულოდ დავებჭდავო, ჯაგახიშვილმა სწერდა, საფრანგეთში საქართველოს თავი მოჭრა. გერმანიის ხარისხით დავებჭდავ თქვენს ფულსო. არა. იმაში ფულ აკეთებენ ისინი, ქურდობენ. დღეს კოტე კემულარია, კოტემ მე ჩემს სახლში რა მითხრა იცი? მეო ებრაელი მეგრელი ვარო. არსებობს ასეთი რამე? საქართველოს ფული ათვისებული აქვს ამ კაცს. მოპარული...

კაცო რომ ჩამოვალ აქა მაგალითად თურქეთის წინააღმდეგ არაფერს არ ვამბობ სიმართლის გარეშე. ჩამოვა და თავის ქვეყანას თუ აგინებს, ჩემთვის კაცი არ არის. მეზობლება ასეთი ხალხი. პირიქით, საქართველოს თუ შეაგინებს, მოვკლავ იმას. მე მოვკლავ ძმაო. ჩვენ საქართველოსთვის ვიწვით. ჩემთან ვერ შეაგინებს, მაგრამ არიან ასეთები. ეს არ შეიძლება კაცო. ჯერ ერთი, შენ იქ დაბადებული ხარ, შენ შენი წინაპრების საფლავები იქ არი. არიან ასეთი ქართველები, ვაი ქართველები. მე ასეთი ის დავებჭდე ვაჟა-ფშაველას ერთი სიგყვა არი ასეთი, კალმისტარი გავაკეთებინე-აქა ღმერთო შეაყვარე ქართველებს საქართველო. ვაჟა. დავებჭდე ერთი 500 ცალი და გავუგზავნე, წვეუდე, ვურიგებდი ხალხს. აქ გავაკეთებინე, რატომ გავაკეთებინე, არიან მოღალატეები. მამაჩემთან საქართველოზე ცუდი რამე რომ თქვას, შუბლზე მოკლავს, ესერის იმ წუთას.

პ.ბ. - წინა ჩამოსვლაზე თქვენ ახსენეთ რომ მ. ჟვანიასთან თქვენ გქონდათ ურთიერთობები, იცნობდით...

ი.ხ. - ჩემთან ცხოვრობდა. ზურაბ წიგნი მოგვცა ერთი მაშინ, ჩემზე დაწერილი. ჟვანია მე გავიცანი იმაში, რუსთაველის საზოგადოებაში. აქედან გერმანელების გამოფენა ჩევიტანე თბილისში. ამ ჯგუფში მოვაცილეთ თამარ ჩიქოვანი, თ. ჩიქოვანი იყო მწვანეთა პარტიიდან. ტელევიზორში რო აჩვენეს თამარ ჩიქოვანი, დავეუკავშირდი იმათ, და იმათმა დამაკავშირეს თამარასთან. თურმე ლადო ჩიქოვანი ვერ მიდის საქართველოში და თამარა იმ იქაურ მხატვრების ჯგუფში ჩავსვი და წაველით თბილისში. იქ, რუსთაველის საზოგადოებაში მიველი. 1987-88 იქნება, აკაკი იყო ბაქრაძე. თამარამ და ზურაბ ჟვანიამ გაიცნეს ერთმანეთი, თამარმა დაჰპატიჟა ზურა გერმანიაში. აქ ჩამოვიდა ერთი თვე ჩემთან იყო, იქით ბინაში ცხოვრობდა ჩემთან გაჩერდა. ტელევიზიის პროგრამაში გავატარე კიდევ, საქართველოს დროშა ჩამოვკიდე კედელზე, იმანაც მითხრა, ბატონო ილიაო დაგვინახავენ, მთელი მსოფლიო გვიყუროსო, მე ვუთხარი გვიყუროს აბა. საქართველოს დროშა მაშინ თავისუფლება არ იყო. რუსები,

კაგებე... ის ფილმიც მაქ აქა მე. იმის მერე მიწერ-მოწერაც გვექონდა, მერე პრემიერ მინისტრი რომ გახდა აღარ მივედი, თვითონ დამინახა, საქართველოს დღესასწაული იყო, ანბანის.

პ.ბ. - დედა ენის დღე.

ი.ხ. - ხო, თვითონ დამინახა, ელუარდ შევარდნაძესთან. გამოიქცა, გადამეხვია. ხშირი კავშირები მქონდა იმასთან კი. სულ ამ ამბავზე ვსაუბრობდი. ჭკვიანი ბიჭი იყო.

პ.ბ. - ამ მასალას ეხლა ჩემი ლოქტორანტების დახმარებით გექსტურ ფაილში გადავიტან და ჩვენ ამირანში დავებუჭავთ. ის პროექტი რომ დაიწყება ის გოგონა ჩამოვა აქ.

ი.ხ. - მე ყველანაირად მზად ვარ. დადებითი რაც იქნება, ყველაფერში მონაწილეობას დიდი სიამოვნებით მივიღებ, ყველაფერშიც რაც სამშობლოს, საქართველოს დაეხმარება იმაში ვარ ძმაო. სიკვდილამდე ვიქნები და უნდა ვიყო. მთავარი რა არის იცი? გერმანიაში ისეთი ბევრი რამეები არ არის ჩვენს შესახებ. მთავარია აი სადაც ქართველები ცხოვრობენ, იმათთან თურქეთში მაგალითად, ირანში მაგალითად ახლა აქ. მიუნხენის საზოგადოება რომ იყო. ვახტანგისაც ისინი კარგად არ იღებენ. რატომ იცი, რამდენი რამე დაუნახია. ერიდებოდით. მე, მაგალითად, იმათთან ბევრჯერ კავშირში ვიყავი. ხომ ძალიან აქტივობდი. მაშინაც და ახლაც. გაგერმანელებული იყვნენ ისინი. ერთადერთი ქრისტოფერი იყო. იმათში ერთი ენდერაძე იყო, ისიც მოკვდა მერე. ქრისტოფერა კი, მერე შვილებიც გაგზავნა იქ. ასწავლა თბილისში.

პ.ბ. - ქრისტეფორე?

ი.ხ. - ქრისტეფორე კირკიტაძე. საფრანგეთში რომ არიან, ისინიც ცოტა გაფრანგებულები არიან.

პ.ბ. - მე პირველ რიგში თურქეთელ ქართველებთან მინდა მუშაობა.

ი.ხ. - დამირეკა ოთარ გიგინეიშვილმა პარიზში ვარო, შეგიძლია ჩამოხვიდეო, კი ბატონოო მეთქი, როგორ არა. მე წავედი ექიმიდან ცნობა ავიღე ერთი კვირის, წავედი, შევხვდი, იმ ქართულ საზოგადოებაში, ცენტრში, ოქროს კუთხე ქვიოდა იმ რესტორანს.

ჩაკეტეს ისა, ფაფახით, ჩოხით შემოვიდა ვიქტორ ხომერიკი, თურმე ესენი გამოუგზავნიათ რუსებს, დააწყნარონო. ე.ი. თავისუფლობა საქართველოს რას ნიშნავს, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგი მოძრაობა იყო იმათი, ჩემიც რა თქმაუნდა. რა ქვია იმას ახლავო, ოთარ გიგინეიშვილმა – აიო, თურქეთიდანაცო აგერ ქართველი ილია ხიმშიაშვილი, იმანაც თავისი აზრი თქვასო. მე იმასთვის ხომ გურისტი ვარ, ავდექი, მე ვუთხარი თურქეთის ქართველების აზრი თუ გინდა მეთქი, თავისუფალი საქართველოს გვერძე ვართ ჩვენა მეთქი. მონა საქართველო არ გვინდა მეთქი. აი ამბავი დავიწყე

ლაპარაკი. ვიქტორ ხომერიკის გვერძე ვიყავი, გადამკონცა. ირანიდან ჩამიყვანეთ ისინიც, ამას იცყვიანო, იმან თქვა. მოკლედ იქ მე კარგად გავუბურე. ნახევარ საათზე მეტი, კიდეც, კიდეც, ოთარ გიგინეიშვილმა თავი ჩაღუნა. სასტუმროში რომ მიველით, კიბის ქვეშ გამწვია და გადამკონცა.

პ.ბ. - კარგი კაცი იყო. მსმენია მაშინ პატარა ვიყავი. ბუნდოვნად მახსოვს რამოდენიმე ტელეგადაცემა გაკეთდა. თურქეთში პირველად რომ ჩავიდნენ. 16-17 წლის ვიყავი ის ფილმი რომ ვნახე გურამ პატარაიასი. ეს გადაცემა მახსოვს, ოთარ გიგინეიშვილს რომ ჩაჰქონდა ღელა-ენა.

ი.ხ. - იყენებდა კომუნისტებს მაგრად. წარმოიდგინე, მე ღაღაღიკავილი თ. გიგინეიშვილთან – ბატონო ოთარ მომენატრეთ ძალიან. იმ წუთას წკაპ, მოვიდოდა მოწვევა, ოფიციალური მოწვევა. მერე საბჭოთა-კავშირის საზღვარზე რომ შევიდოდი, მთელ ხარჯებს ისინი იხდიდნენ. გოქსი. აქედან ბავშვები მიმყავდა 25,35,40 წლამდე შეყვარე ქართველები.

პ.ბ. - თურქეთიდან?

ი.ხ. არა, აქედან. ქართველები, მთელი ქართველები. ოჯახები. კოლნი... ვაწვავლებდი, მაგარებელი იაფი იყო. ერთ დღეს წყნეთში ვართ. ყოველ დღეს იმათთან მივდიოდით. ის ბავშვები, ბანაკებში იყვნენ. ნინოსთან ერთად. ერთი კაცი მოვიდა, მინისტრი გემახისო, ოთარას უთხრეს. არსად არ წავალ აქედანო, ჩემი შვილები მოვიდნენო. არ წვეიდა, ასეთი კაცი იყო ისა. რას ლაპარაკობო კაცო. მე რას გეუბნები, მე მითხრა ერთხელ, რომ ბ-ნო ილიაო ძალიან გაფასებთო, ერთ რამეზე გაგებრაზდი. ნინომ პასპორტი დააგლო არ წვეიდე აქედანო. ბიჭო, მე იმ პერიოდში თურქეთში ვერ მივდიოდი. დედას ვერ ვნახულობ, ახლა ამან პასპორტი რაფერ უნდა დაკარგოს. დაკარგვა არა, ჩაუგდია თვითონ, გადააგლო ლიასთან ერთად. იმაზე გაგებრაზდი, იმიტომ რომ ჩემი დალუპვა იყო ესა. პასპორტიანად წვეიდე თურქების საკონსულოში, უნდა გავგზავნო მოსკოვში, მე იქ დევნილი კაცი ვარ, დალუპვა, სუფთა დალუპვაა ესა. წვეელი, არც მეუბნებიან რო ეს მოხდაო. თურმე ლიას წაუყვანია გორში, გორში დააგლო ამან პასპორტი, მაგრამ ერთი მუცლის ტკივილი აქვთ, მაგრამ რა აქვთ არ ვიცი. ეხამებიან ორივეს. იმას ნინოს ფეხებზე კიდა. მაშინ 12 წლის იყო. მოკლედ ერთ რუსს ეს უპოვნია ეს პასპორტი. თურმე ქალაქში იყო ჩვენი ვიზა დამატებითი. პასპორტში არ არგყავდნენ ბეჭედს-ნამგალ და ჩაქუჩი. ის ყოფილიყო უფრო დალუპული ვიყავი, ხოდა იქ წაუკითხია. ოთართან მოსულა ეს პასპორტი. ოთარის სეიფში იყო. ოთართან ყოფილა ეს პასპორტი. მე დაკარგულია არ ვიცი, მაგრამ რამე პრობლემა აქვთ, გართულე-

ბებია ეს ვიცი, მივხვდი უკვე. ღია ძალიან ჩუმდაა, იმ გოგოს უხარია ძალიან. პასპორტი დაკარგა, აღარ უნდა წვეიდეს საქართველოდან. მოკლედ იმ დღეს ინსტიტუტში მოვიდენ, მოგვესალმნენ, მოდიან ორივეც. ოთარმა უთხრა, ქალბატონო ღიაო, რამე გჭირდებათ? არაფერი, არა ბატონოო. იმასაც ეშინიან, ღიას. რამე გაკლიათ თქვენაო? დაფიქრდით აბაო. რამე დაკარგული გაქვით? არაფერი, არა ბატონოო. გაეცინა. მერე სეიფი გახსნა. ეს რა არისო. მე ამრზე არ ვარ. მე რომ მიხსრა მოკლა უკეთესია. ხოდა ვუთხარი-რა არი მეთქი. ასე, ასე მოხდაო. ეი. თურმე კაცი თურქეთის კონსული შემხვდა შემთხვევით ლიფტში, იმავე დღეს იქიდან გვეიქეცი. ვუთხარი ოთარას შემთხვევით მეთქი შემხვდა კაცი, რას ლაპარაკობო ბატონო არ ვიცოდით. გამიშვა საჩხერეში. იქაც მოგკლავენ კაცო. ოთარი ძალიან დიდი კაცი იყო. მე მაგალითად დღეს რაც ვისწავლე საქართველოზე, საქართველოში წასვლა-მოსვლა, ყველაფერი ოთარას საქმეა. ოთარმა გააკეთა ესა.

პ.ბ. - ბ-ნო ილია, თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია დღეს რა ხდება. თურქეთელ ქართველებთან ურთიერთობას ვინმე ახორციელებს?
 ი.ხ. - ახლა რა არის იცი? მე რასაც ვაგყობ, თურქეთის და საქართველოს შუაში ეს ვაჭრობა რომ შევიდა, ყველაფერი დევიფყეს. შარშანწინ, გრაპმონში იყო ჩვენი კონსული, იმასთან წვევლი მე. მამინ ვიმა გვეჭირდებოდა. შარშან, ჩვენ ერთი ორი წლით, სამი წლით აღრე, ვიმაზე წვევლი. მერე სახლში წემიყვანა. ერთი ღამეც არ გამიშვა იქიდან. იმან რა მთხოვა იცი? აიო, ამ გარდაქმნის პერიოდში საქართველოს და თურქეთის შუაში, გერმანიის შუაში ვაჭრობა რომ დეიწყო, ურთიერთობები, აი ეს დაწერე შენო. მე, მაგალითად, ვაჭარი არ ვარ. ჩემი საქმე წიგნია. ეს აირ ჯორჯია რაგომ გავაკეთ – კავშირი გვექონდეს. ეს თქვენი ნომრები რომ არის, ახალი, ისიც მე გავაკეთე. მანქანის ნომრები ქართული, ეს მე გავაკეთე. ახლა გაჩეჩილაძე რო პრეზიდენტის კანდიდატია, აქ მე არ მომეწერა ხელი, 25 000 დოლარზე, არ კეთდებოდა ეს საქმე. ისიც იყო იმ საქმეში. გაჩეჩილაძე და ღათო ჩიქოვანი. მერე გადამაგდეს. ახლა, თვეში 273 ევრო პლიუს 90 ევრო, ვიხდი, იმათთვის ვიხდი. ორი წელიწადი კიდევ მაქვს ვალი არაფრისთვის. მე ვაჭარი არ ვარ, მაგრამ ილია ჭაჭაგავაძე რომ მაგალითი მყავს. ყველაფერში საქართველოს რამეში დავეხმარო მეთქი, ვაჭრობაც დევიწყე.

პ.ბ. - მოდით დავამუსტოდ ეს ნომრები გააკეთეთ თქვენ და საქართველოს ვალს იხდით თქვენ?

ი.ხ. - საქართველოს ვალ არა. ეს კერძო პიროვნებაა, ერთი, ამ ნომრებში, მე ვუთხარი რო ჩაწერილი მაქვს, იმისი საბუთიც მაქვს. აქა ათ ლარზე, ათ დოლარზე მეტად არ უნდა გეიციდოს ნომერი,

ნანახი მაქ 200 დოლარად ნაყიდი ნომერი იქ, მაშინ. არ უშვებდნენ ნომერის გარეშე მანქანებს. ფული გააკეთეს ამაში და კიდეც ის ღროშა, თავიდან ნომერის გვერძე ღროშა იყო, ისიც პირველი ხაზი იყო ჩემი, რომ ღროშა გაკეთდეს.

მაგალითად, რამდენი წლით ადრე წაველი, მითხრეს, არა ტელევიზორში ვუსმენდი, რომ ბორჯომში ამება გამოჩენილა წყლებში და ბავშვები კლებიან. გეროლდ რისტერიც ჩემთან არის, რომელიც ქანგბაღს უშვებს. ვუთხარი, კაცო ეს ამება წყლებში როგორ შეიძლება, სირცხვილია მეთქი. გავაკეთოთ სპონტან. მოკლედ ეს გავაკეთეთ. ჩვენ, ქანგბაღის წარმოება, ორი ქვაბი, მასალა უნდა იმას, ტექნიკაც შევიტანეთ. რა გამოჩნდა ამის წინააღმდეგ იცი? - ხლორის მაფია. ხლორს თურმე ყიდულობენ სომხეთიდან. კაცის ორი მანქანა დაწვეს. ეს დაბეჭდილია იმაში, ჩვენ ქვიოდა. ერთი კრებული იყო – ორი გვერდი ჩემზე დაწერილია, ხლორი არ გააუქმოსო. ხლორი კიბოს აჩენს. ეს ბუნებრივი ქანგბაღია. არის ეს თბილისში. აფთიაქებში რო იყიდება აქვა ექო, ის ჩემი გაკეთებულია. წყლებში არ გაგვიშვეს. ალექო ბაკურისძე უშვებს იმას. ფარმაციის ფაკულტეტის ლეკანი რომ არის აჭარელი. კი, იმან გამოუშვა. იმის 10% ჩემია, ერთი თეთრი არ მიმიღია ღლეჯანდელ ღლემდე. გაიგე ეს რატომ გავაკეთე? ამება არ იყოს რა და კიდეც ბუნებრივი ქანგბაღით გასუფთავდეს საქართველოს წყლები. ფულისთვის ხომ არ გამიკეთებია. მოკლედ ფულის ამბავია რა, უფასოდ ფულს ვუბეჭდავთ. გამყიდველობა არის, სუფთა მოღალატეობა არის ესა.

ომი დაიწყო, ფქვილი უჭირს, გამომიგზავნენ ფული. აქ ერთბაშად ახლა ამხელა ფქვილი რაფერ ვიშოვო, მერე აქ დევიწყე ძებნა. რა გამოჩნდა იცი, ფქვილის ამბავში ნავთობის ფირმები. ბიპი, შელი... აქედან კაცს მივეცი უმუშევარს ფული, ჩემი ჯიბიდან ბილეთი ვუყიდე, თურქეთში დავრეკე მთელი ოჯახი, მამა, ბიძიები, ბიძაშვილები, ნათესავეები ყველა ჩავსვი საქმეში. ერთბაშად იმდენ ფქვილს საღ ვიშოვი. აქედან ფულ ვურიცხავ ფირმებს. ისინი მირეკავენ, ამბობენ რომ აქ სამსუნში, გემში იგვირთება ფქვილი. მოკლედ მე ვეუბნები რომ ევაჭრეთ. ძალიან იაფად ბევრი რაც არის ახლა. მოკლედ წვევიდა ეს გემი, საქართველოში წვევიდა. ჩაბარდა. იქიდან მირეკავს, ერთი პირი, ძალიან დიდი მადლობა პრემიენტისაგან მ. გამსახურდია, მაგრამ ასე ბევრი რაფერ? ფული ამდენი. რაქნით, ჩვენი ინტერესით? ის მეუბნება. რაის ინტერესი მეთქი. ის მეორე, მე ვუსმენ ტელეფონიდან – დაგღუპა ამ დებილმაო. მე დაგღუპე ის, იმათი ინტერესი რომ არ ჩავდე. რაის ინტერესი კაცო. ჩემი ჯიბიდან ფული ვხარჯე მეთქი, იმას უნდა რომ მე ამ ფულიდან, გამოგზავნილი ფულიდან გადამელო გვერძე, მე იმათი წილი. რაში ხარ შენ. იქ ხალხ ვეუბნები, რომ

თქვენ ფული არ გიგზავნი მე. თქვენი ფული დახარჯეთ, საქართველოს უჭირს დღეს, ფქვილი უნდა გაგზავნოთ. მამამ ძროხა გაყიდა და იმათ გზის ფულები მისცა. მანქანების ფულები დოკორიგა რომ აქედან ფული არ წვეიდელო, ორი ტომარა მეტი წვეიდელო. ის კი ამბობს – დეგვლეუბა ამ დებილმაო.

პ.ბ. - უნდა ითქვას მისი სახელი. წლები გადის. ჩვენს დროს 78-ში პირველი კურსელები ვიყავით, დადიოდა ლექსები, ფულაგორიები იმ პიროვნებებზე, ვინც საშინელი როლი ითამაშა - პრო-რუსული; მაშინ როცა კონსტიტუციიდან სახელმწიფო ენის მუხლის ამოღება უნდოდათ. გვარები უნდა გამოვაქვეყნო – მ. ლებანიძე, ნ.დუმბაძე, ჯ. ჩარკვიანი...

ი.ხ - ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავი იმაში მიტინგი იყო, გამოსვლები, გავიპარე. თავისუფლების ბაღში დიდი მიტინგი იყო. პირდაპირ მოვხვდი იქ, კაგებე მღვანის თურმე, მე ეს ვიცოდი. მოვიდა ოთარ გიგინეიშვილის მძლოლი, გეძახისო. კაი, წვეელი. მე ვიცი, რომ იქ იჭიმებოდით. შორს იყავით. რაფერ ვიქნები შორს კაცო. ვერ დეინახე იმ საწყალმა. ეს რა ცხოვრებაა? კაცურად მოვკვდე, დღეს მოვკვდე.

მაშინ ომი დაწყებული იყო. ფქვილში მართლა დიდი გაჭირვება ყოფილა. მე გაგვგზავნე მაშინ. არ ვამბობ ამას. ტრაბახიც არ მიყვარს. ის თურქეთმა რო 50, 000 ტონა ფქვილი გამოგზავნა, უფულოდ გამოგზავნა. ის მე გავაკეთე. ელჩთან ვიყავი. თურქეთის ელჩთან. პირდაპირ ჩემთან დარეკა. თანსუ ჩილერი იყო მაშინ. პრემიერ მინისტრი ლორთქიფანიძე. კოლმეურნეობის მინისტრი იყო–ნეფააღენ შაინი და აქედან დაიწყო ეს საქმე. ესლა ქნეს ამათმა, ამათმა ფქვილი, ხორბალი მისცეს. ამან მითხრა რომ 30, 000 ტონა დავპირდეთ, მე ვუთხარი წელან ამ ხალხთან ამდენ მილიონობით ქართველ მოქალაქეობიდან ელაპარაკე მეთქი, სირცხვილია თურქეთს მეთქი, 50, 000 გავაკეთოთ მეთქი. 20,000 ტონა მეტი. ახლაო, პრემიერი ქალბატონი მელიოდებაო, ვკითხოო და დავპირდეთო, არ თქვაო არაფერიო. წვეიდა და სიცილით გამოვიდაო – კი ბატონოო. 50, 000 გაგზავნეთო. ეს პირველი ხარისხიანი ხორბალი დეიგვირთა თეკილ დალდან. მარმარილოს ზღვის სანაპიროდან. რა ქნეს იცი? ბერძნების გემი დეიქირავეს. თურქებმა უთხრეს ჩვენი გემით ჩამოგიტანთო - არა. ბერძნების გემი დეიქირავეს ქართველებმა. ამათმა თქვეს ჩვენ ეს ხორბალი უნდა გავყიდოთო, კარაქი უნდა ჩევიტანოთ ნაწილიცო. მვიადის მერე, შევარდნაძის დროა. მვიადის დროს ეს არ გაკეთდებოდა. მვიადი რომ ყოფილიყო, მე აქედან პირდაპირ დავურეკავდი, ვეცყოდი, ბატონო პრემიერნგო, ასე, ასე მოხდა და საქმის კურსში იყავით. წვეიდელო, ბერძნების გემი დეიქირავეს, გაყიდელო პირველხარისხიანი ხორბალი 50, 000 ტონა, იყიდელო მე-3

ხარისხი, მე-4 ხარისხი, ჩეიდეს ფული ჯიბეში. ანზორ ჭლიკაძე. ისიც იყო იმ დღეს ჩემთან იმ ელჩთან და გაუკვირდა. ანზორს არ ევასებოდა ჩემი თავი. ბატონო, ამ ელჩმაო სად მიგვიღო იციო, ვიცი მეთქი, ჩემი ძმაკაცია მეთქი. პრეზიდენტები რომ მიიღო, იმ ადგილას მიგიღო. გაყიდეს ხორბალი, მე-3 ხარისხი იყიდენ, ჩაიდეს ფული ჯიბეში. საქართველოში ჩვევლი მერე იმის შემდეგ, ერთი ორი წლის მერე და საქართველოში გავრცელებულია სიჭყვა, რომ თურქებმა ნაგავი გამოგვიგზავნესო. მოკლედ თურქეთის ელჩი შემხვდა შემთხვევით, მიცნობდა ის კაცი. ასე, ასე რამე რომ მოხდაო, ჩვენ ვურეკავ მთავრობასო. მე საიდანაც ლეიგირთა, იქიდან ვიცი, საიდან უნდა ვიცოდე თეკილ დალი ოფისი ქვია, ამას. იქიდანო, სახელმწიფოს მარაგიდანო I ხარისხის მისცენო, აქედან რა ჩამეიგანეს ამ ქართველებმაო.

რა ვქნაო ახლაო, მივედი ანზორასთან. თურქეთის წითელმა ჯვარმაო... რაის წითელი ჯვარი მეთქი, ელჩს რომ ვუთხარი მეორეჯერ რომ შევგზავნე ის ელჩი მეთქი, დარბაზში რომ მიგვიღო, როგორ არ მახსოვს - წითელმა ჯვარმაო. წითელი არ არის მეთქი, წითელი ჯვარი ამდენ არ გამოგვიგზავნის. ვერ გამოგვიგზავნის. ახლა თურმე სიძეც შეეიცარიაში ყოფილა, რომელი ფულებით. ახლა მე ეს რომ ვილაპარაკო, იტყვიან, ილია ტყვილობსო. არ მიჯერებენ. მოიპარეს, მოპარული ფულებია. 50 000 000 დოლარი თურქებმა კრედიტი მისცა, იმით ნაგავი ჩამეიგანეს. აგერ, დღეს შოთა შარაშენიძე, ანზორი ცოცხალია, ყველა ცოცხალია. კაცმა რა გვკითხა იცი? შტაბ გეგვეკეთებინეთო თბილისშიო, მე სხვა ქვეყნების ფული დაგბეჭდო. თქვენ ფულს უფასოდ დაგბეჭდავთო. მე გავაკეთე ესა.

ახლა ის მაზა მიმინოშვილი და თორნიკე ქალეიშვილი აქ მათემატიკის ინსტიტუტში ჩამოვიდენ მაშინ კომუნისტების დროს, ამათ ხელფასი მისცეს. ხელფასი თურმე მოსკოვში რუსებს უნდა მისცენ. მე ვუთხარი, ეს არის მონობა მეთქი კაცო. მე ვიმუშაო აქ, მე ვერ ვჭამ? დებილი ვარ და შენ მოგცე? ეს რა თქმა არის, კაცო. ამ პარვაზე იყო საუბარი, თუ იპარავ ააშენე შენს სამშობლოში. თორნიკეს შეეშინდა, თურმე, მიუცია მოსკოვში ფული. რაფერ შეიძლება ასეთი რამეები. მე ესლა ერთი აზრი კიდევ მაქ. ახლა ამისი თქმა მინდა ძალიან. საზღვრებს, ერთ, ოთხ-ხუთ წელიწადში საზღვრების ამბავი ხომ იცი, ასწორებენ მასწორებენ. ხულოდან ავედი მე მევიო, ჩუოქში დობე გადატეხილი იყო. გადაველი თურქეთის, იქიდან ქვები ჩამევიგანე აქეთ, შვილებ გეფიცები. ხალხ გაუკვირდა. ის ჩვენი მიწაა კიდევ, მაგრამ მე კიდევ გაღმევიგანე ქვები აქეთ. ქვა. იმ საზღვარს მე მაგალითად, იმის საშუალება რომ ვნახო, მინდა რომ იმ საზღვარზე არ ითამაშონ ერთი მეტრო, ორი მეტრო. ერთი

მტკაველიც რომ იყოს, სამშობლოს მიწაზე თამაში არ შეიძლება, ის ჩვენია. მაგრამ მაინც ასეთი რამე გავაკეთოთ რო მე, მაგალითად, ერთ ხელფასს ჩავდეფ, ნერგებს ჩამევიტან. იმ საზღვარზე ვეღარ ითამაშონ. ხე ჩავნერგოთ, რომ საზღვარი მუდმივად იყოს. მე ვიცი რომ ჩვენები მიყიდიან იმას, ხე რომ იქნება 100, 200 წელიწადი მუხა მაგალითად, იმას ვეღარ გაღვიტანს. კაკალი ჩავნერგოთ, მუხა ჩავნერგოთ, რომელიც მრავალწლოვანი ხეა. ჩოროხიდან ღვევიწყოთ სომხეთამდე. კაი მაგალითიც იქნება. მე მაგალითად 500 ნერგ ჩამევიტან თურქეთიდან. აი ასეთი აქცია ღვევიწყოთ.

პ.ბ. - გამწვანების?

ი.ხ. მარტო ის არა, საზღვარიც.

პ.ბ. - მწვანეთა აქცია, ეკოლოგია...

ი.ხ. - ხო, ეკოლოგია. იქედან შეხვალ ეცყვი, რომ თურქს—აი მაგალითი იყოს მთელს მსოფლიოში მშვიდობა... ვეღარ ითამაშებს ვერაფერს მერე. 180 კილომეტრია მე მგონია. 200-მდე არის. 200 კილომეტრი სიმწვანე. რა კარგი რამე იქნება.

პ.ბ. - ეკოლოგია საზღვარზე.

ი.ხ. - თურქები წამოვიდნენ ამაზე და მერე ამასაც გამოაქვეყნებს მთელს მსოფლიოში. ის ჩვენი მიწაა, კიდეც იმიტომ რომ აყვავება მინდა მე იმისი. ერთი რამე კიდეც, გასულ თვეს ისტანბულში ჩატარდა ქურთების პრობლემების კონფერენცია. კანადა ჩვეიდა, გერმანია ჩვეიდა, ამერიკა, რათქმუნდა, თურქეთი ერაყი, ირანი. რატომ საქართველო არა? საქართველოში ასი ათასზე მეტი ქურთი ცხოვრობს. რატომ საქართველო არა? საქართველო უნდა იყოს ამ პრობლემაში. ჩემი მეზობელი ხარ. თუ მსოფლიო სტანდარტზე, მსოფლიო საერთაშორისო კონფერენცია ტარდება, სირია არი, ერაყი არი, რატომ არა ვარ მე? რუსეთიც იყო. რუსეთში ქურთ არა ცხოვრობს.

პ.ბ. - ამათ რა გააკეთეს იცი, რითი იმართლებენ თავს ჩვენო ამოვიდეთ პასპორტიდან ერის მცნება. ჩვენ პასპორტში ერი აღარ წერია.

ი.ხ. - მაშინ ნოიგრაღურ გათვალისწინებაში შემოვა. არ მინდა მაშინ გამოვაქვეყნო ჩვენგან ქურთები.

პ.ბ. - ეროვნების ამოღება არასწორად მიმაჩნია. რატომ? ჯერ ერთი, აბხაზს აძლევ შენ იმის საბაბს, რომ თქვას, მე საქართველოსთან არ ვიქნები იმიტომ, რომ ეროვნულ უფლებებს არ აღიარებს. მაშინ ავტონომია რის საფუძველზე უნდა მქონდეს?

ი.ხ. - ჩვენ ბატონ ზვიადთან ვილაპარაკე ბევჯერ. მე ვუთხარი, პირველად რომ ჩაველი საქართველოში „გაყე-უბრძანე პრინციპია აქ. რუსმა გააკეთა ესა. მეღაშვილმა წიგნი რო დაწერა საქართველო

და იმისთვის ციხეში ჩასვებს. იმ წიგნში წერია ესა. რუსმა უთხრა რომ თქვენო 10 მილიონი რომ იქნებითო დელას გვიტირებთო. მთელ მსოფლიოს დელას უტირებთო. ბევრი არ ხართ და გაყვს, კიდეც გაყვს. მე ვუთხარი რო რა არის აჭარის ავტონომია რატომ არის ავტონომია? როგორ გავაუქმეთ? როგორ გავაუქმებ იცი? მაგალითად თანამშრომელი სახელმწიფოსი მოკვდა, ადგილზე არ დაენიშნავდეს, ხვალ ასე გაუქმდება ესა. როგორ გავაუქმეთ ყარსის ხელშეკრულება. ჯერ—ერთი, მეორეც ჩილდილ ვილაეთი გახადა ოლქი, თურქეთმა შეეკითხა საქართველოს? მე საქართველოს სუვერენი ქვეყანა ვარ საზღვრებში რაც მინდა იმას გავაკეთებ. რაც მე მაწყობს. აბხაზი თუ არის ძალიან თუ რუსი უყვარ წვედეს იქიდან. სამაჩაბლო, წვედეს იქით არის ოსეთი. სამაჩაბლო სამაჩაბლოა მორჩა. აი, წედან რომ ვილაპარაკეთ, ქართველები ჩამეფასახლოთ ჩვენ იქა. პრობლემა ქართველები რომლებიც არიან ჯოხიანები, კი მართლა გეუბნები, დედა უტირებენ იმათ. კაცი მოკლული, მტერი ყავს, ემინია, სულ იარაღით სძინავს. იმას ჩამევიყვან მე 10 ბაეშეთი, აკუნებით, ყველაფრით როგორც ჩენი წვიყვანეს, იმათ მე უკან დავაბრუნებ. შეილებ გეფიცები. ჩაყარე ერთი ორი სოფელი. ჩვენ უნდა გავაკეთოთ. თითო ოროლი, თითო ოროლი.

პ.ბ. - ევროპის კავშირში დღის წესრიგში დგას ერების უფლებების საკითხები. ამაზე მუშაობენ ეთნოგრაფები და სახელმძღვანელოებსაც სცემენ და მე ვნახე, ძალიან საინტერესო ლიგერატურა – ერების უფლებები. პირველ რიგში მე მინდა დავაყენო, იმიტომ რომ ჩემი პროფესიის სფეროა. ეს საკითხები უნდა დავაყენოთ კიდეც რათა გავმიჯნოთ. ხშირად კითხულობენ, ეროვნული უმცირესობა რა არის და დიასპორა რა. აი ეხლა, სომხებმა შექმნეს უცხოეთში მცხოვრებ, სომხებთან ურთიერთობის სამინისტრო. შარლ აზნაური, რომელიც არის ახალციხელი სომხების შამომავალი, ასე აწერია შარლ აზნაური—სომხური დიასპორის წარმომადგენელი. თუ სომხური დიასპორის წარმომადგენელია შარლ აზნაური, საქართველოში სომხები ხომ დიასპორის წარმომადგენლები არიან და არა ეთნიკური უმცირესობების? ეთნიკური უმცირესობა სხვაა და დიასპორა სხვაა. გაერთიანებული ერების წესდებით, დიასპორას თავისი უფლებები აქვს, ეროვნულ უმცირესობას თავისი უფლებები. აბხაზი, მაგალითად, შეიძლება ჩაითვალოს ეროვნულ უმცირესობად. თავის ტერიტორიაზე არის ეროვნული უმცირესობა. მაგრამ სომეხი, აბხაზეთის ტერიტორიაზე ეროვნული უმცირესობა ვერ იქნება. ის არის დიასპორა. ის აბახაზი თუ ჩემთან ერთად დადგება, ვიბრძოლებთ აბხაზეთის უფლებებისათვის და მიწების დაბრუნებისათვის, მე იმასთან ვარ, მაგრამ თუ ის მიწას მართმევს? ეგრე სადაა.

ი.ხ. - ახლა როგორ არის იცი? მე მაგალითად არ ვიცი რატომ დედამიწაზე ერთი სტატია დაიწერა ჩემზე-გრძნობიერი დედამიწის მოქალაქე. ორი სერია დებიუტდა მთელი გვერდით. იგივე მივუთითე, რო ჩვენ, ყველა უცხოელები ვართ ამ დედამიწაზე. მოვედით, მივდივართ. ზოგიერთმა შავი მოვლა, ზოგიერთმა თეთრი მოვლა, ზოგიერთი ყვითელი მოვლა. მე ქართულად მოველი. დმერთმა მე ეს მაღირსა. ამიტომ ვამაყოფ მე. მაგრამ ყველას ვაფასებ. ჩემსავით, მაგალითად დედამიწაზე სადაც წვევლი, მე ჩემი თავი მცირედ არ ვიგრძენი. აღამიანი ვარ, მაგრამ ქართველი ვარ. ქართველობამ მომცა მე ჩემ ცხოვრების ძალა. ამით ვცხოვრობ მე. აბხაზი საქართველოს მიწაზე ჩამოსული, რუსის იმაში შემძვრალი. რა უნდა მოხდეს იცი. მე შენ გითხრა. ახლა გუშინწინ კიდევ აქ კაცი ლაპარაკობდა 86 სოფელი დაიცალა ჩვენიო. 40 მდე სოფლებში სომხები დაასახლესო. ახლა ისინი უნდა ჩამეიყვანონ. იმ სომხების სადაც დააბინავეს, იმათ კაცმა თქვა ჩემი სახლი ეს იყოო. სომხები უნდა გაყარონ იქედან. ახლა საქართველოს და სომხეთს შუაში უნდა ატყდეს ერთი ამბავი. დაინახავ, ვთქვი მე ეს ახლა, მოხდება ეს. პ.ბ. - სხვათაშორის რუსის ჯარი გავიდა ახალქალაქიდან, ბ-ნო ილია თქვენ უნდა ნახოთ როგორ არიან სომხები შეცვლილები. ახალქალაქიდან რომ გავიდა რუსის ჯარი დაიწყეს ქართულის სწავლა. ი.ხ. - სად იყვნენ დღევანდელ დღემდე? მე ერთ რამეს გეტყვი. მახსოვს ახლა ჩემი ბაბუა რომ ხანდახან ბებიას გაუბრაზდებოდა-სომეხ. მე არ ვიცოდი სომეხი რას ნიშნავს. საქართველოში რომ ჩამოვედი, ო. გიგინეიშვილთან ერთად ვსაუბრობდით, კიდევ ერთი მდივანი შემოვიდა, მაღალი ქალი იყო, კარგად მახსოვს, სომეხიაო. შემრცხვა, გავწითლდი. თურქულად მითხრა, ხომ თურქოლოგი იყო ისა, აგისსნი მეთ სომეხ რას ნიშნავსო, სომეხ ერმენიაო. მე გინება მგონია სომეხ სიტყვა.

პ.ბ. - დასავლეთ საქართველოში ვერცა, სომხობა გინებას ნიშნავს.

ი.ხ. - რას სომეხობო. მაგალითად, აი, ეს პრობლემა წამოტყდება, გითხრა მე შენ. ახლა დეიწყებენ. ასეთი ძალიან ბევრი საუბრები გვაქვს ჩვენ.

პ.ბ. ბ-ნო ილია, იმედს ვიტოვებ რომ თქვენ საქართველოში ჩამოხვალთ. ჩვენ უნივერსიტეტში დიდი სიამოვნებით შეხვედრას მოგიწყობთ. ისე ჯობია ჩვენ თურქეთში ჩავიდეთ.

ი.ხ.- მაფხულში ჩამოდით. მეც იქა ვარ.

პ.ბ. - სადაც ჩვენი ექსპედიციის შედეგებს, თქვენს მრავალსიტყვაობას წარვადგენთ.

ი.ხ. - ნოუ პრობლემ, იქ ბევრ რამეებს გაჩვენებთ თქვენ. ახლა ართვინისკენ რა წავა. ადაფაზარი, ხაშური, მაშური. იქ სოფლებია.

ზაზა ბიძიას წვეიყვან, იმან იცის ყველაფერი. ერთ ქალმა გამოუშვა წიგნი—თურქეთში ქართული ძეგლები. კაი წიგნი გამოუშვა ძალიან. ერთი ცალი მქონდა. სალოქტორო დისერტაციის წიგნია და დააფინანსა ჩვენმა ქართველმა მდიდარ ქართველმა იქა. გამოუშვეს ეს წიგნი. ერთი ცალი მქონდა. არქიტექტია ბექა, ნუგზარის ბიჭი. იმას გავუგზავნე, ვუთხარი ეს წიგნი უნდა დამიბრუნოთ მეთქი. იმ წიგნს მე ვერ ვიშოვი. ის წიგნი იმათ გამოართვი, ნახე-მთლიანად ქართულ ძეგლებზეა.

პ.ბ. - ვის მივაკითხო?

ი.ხ. ნუგზარ ქარსიძე. ტელეფონსაც გეცევი. თურქეთში რომ ჩამოხვალ, შეიძლება ვიშოვო. არ ვიცი. ძალიან საინტერესოა. საქართველოში ბევრი რამეები არ იციან. მე რასაც ვაგყო.

პ.ბ. - ბ-ნო ილია ჩვენთან მოხდა ესეთი რამ, ჩემი თაობა ამოვარდა კვლევითი პროცესებიდან. ერთი-ორი თუ შევრჩით იმიტომ რომ გაჭირვება რომ იყო ზოგი სად წავიდა, ზოგი სად. ზოგი საქართველოდან წავიდა, ზოგმა სრულიად შეიცვალა თავისი საქმიანობის სფერო. მოხდა ლეკვალიფიკაცია. ჩემი თაობა ძირითადად ომში გაწყდა. აბხაზეთი, მერე ერთმანეთის ხოცვა, ჩემი შემდგომი თაობა წავიდა უცხოეთში ან ენის სპეციალისტად ან იურისტებად ან ეკონომისტებად ვითომ. მაგრამ საქართველოში მათი ჩამოსვლის პირობები არ შეიქმნა. დასპეციალდნენ კი, მაგრამ რეალიზება ხომ უნდა მოახდინოს. საქართველოში არ არის ამის პირობები და რჩებიან უცხოეთში. შევარდნაძის პერიოდმა საშინელი დარტყმა მიყენა უნივერსიტეტს რა მხრივ, უთხრეს რომ თქვენით ირჩინეთ თავიო. თქვენით თავის რჩენა რას ნიშნავს, რომ მისაღებ გამოცდებზე უნდა გააკეთო ფული და დიპლომი გაყიდო. რაც უფრო ძვირად გაყიდი, მით უფრო მაგარი ხარ. მაგრამ მერე აღმოჩნდა რომ დიპლომის ყიდვა-გაყიდვაში იმეცნიერ-სპეციალისტები გადაგვარდნენ. ვინც დარჩა იმასაც დაავიწყდა და როდესაც კვლევაზე მიდგა საქმე-ეთნოსოციალური კვლევების ჩამტარებელია არავინ არ არის. საისტორიო კვლევების ჩამტარებელიც არავინ არ არის. ასეთ დროს ჩატარდა სახელმწიფო რეფორმა—ყველა პროფესორი გაუშვეს. კრიტიკრიუმად აიღეს უცხოეთში მუშაობის გამოცდილება და ვინც დაბრუნდა, იმათზე გააკეთეს მარტო აქცენტი. ასეთი აღმოჩნდა ცოცხალი. საქართველოში ამდენი უნივერსიტეტი და ამდენი სასწავლებელი მართლაც საჭირო არ არის. ვართ სულ სამ მილიონ ნახევარი და 120 უნივერსიტეტი გვჭირდებოდა?.

ი.ხ. - ელგუჯა ხინთიბიძე შემხვდა ქუჩაში. ძალიან კარგად ვიცნობ. აღრეიდანაც. აივო, სადამოს აუცილებლად არ გაგიშვებ, სად მიდიხარ მეთქი. მცხეთასთან ახლოს ნაკვეთი მაქვსო, კარტოფილი უნდა

დავთესო. კარგოფილი ხახვი, მახვი. გაზაფხული იყო მაშინ, მეც წამოვალ მეთქი კაცო. როგორ შეიძლებაო, როგორ გეკადრებაო. აუცილებლად უნდა წამოვიდე შენთან მეთქი. შარვალი მეთქი ძველი რამე – კი მაქვსო, კაი წამოდიო. წაველი, მოვთოხნე, სადამომდინ დავთესეთ, აი ეს არის. იქ ხედავ, ელგუჯა პრაფესორი იმხელა, თესავს, თოხნის. ეს უნდა აჩვენო მეთქი კაცო. შენ ხარ კაცი. გაიგე. წელან თხის ამბავი რომ გამოვიდა, ჩვენ რა მოვიფიქრეთ აქა. თხა. ერის გაჯამრთელება, გაჭკვიანება. ფულიც არი.

პ.ბ. - ასლან აბაშიძემ ხომ მოაწყო თხის ფერმა?

ი.ხ.- თვითვონ სულ თხის რძეს სვამდაო. ის უნამუსოა ძალიან. აბაშიძეებს ერთადერთი შემდეგ აბაშიძე, რომ საქართველოში სკოლები რომ გახსნა, დადებითია, მაგრამ ამან ყველაფერი გააფუჭა. ერის მტერია. ფულმა გააგვიქა ეს კაცი. ვერ ივარგა. იქურდა რა, იღორა რა, ღორებს ეწყინება არ თქვა ღორი. ღორი ჭკვიანია კაცო. რა არის იცი, ჭკუა თუ არ აქვს, ფული იმას უბრძანებს. ასჯერ შემომითვალა იმან მე ასლანამ. ჩემს ცხოვრებაში ერთხელ ბათუმში ჩამოვიდა ეღვარდა, იქედან გადიოდა, დამიძახა—მობრძანდითო, ეღვარდამ. ერთი ნახევარი ჭიქა ღვინო დავლიე, მეტი არ დამილევიო, საჭმელიც არ მიჭამია. იმიტომ, რომ მე ძალიან ბევრი რამეები გადემხვდა ცხოვრებაში. ერთი წელი გელაპარაკებით თქვენ. ფსიქოლოგია ამისი ვიცი მე, ფსიქოლოგიის უნივერსიტეტიც დამთავრებული მაქვს მე აქა, ჰაილელბერგში. ფსიქოლოგიც ვარ. იმიტომ კაცს რო შევხედავ, რა გრალუსი იქვს იმას, რა ღონე აქვს იმ წუთას მივხვდები. არ შემცდარვარ მე ღღემდე, რო შემცდარიყავი, დაკარგული ვიქნებოდი ღღეს. არ შევცდი. ღმერთმა დამიფარა. ასლანა ის კაცი არ იყო. აჭარაში სხვა რამეები მოხდებოდა. იოსება მე გავაჩერე ხიმშიაშვილი. იოსება ხიმშიაშვილი ხომ იყო, არი კიდევ. მე გავაჩერე და იმან გამოვიდა ბევრჯერ და იოსებამ თქვა რომ ასლანას დევხმარეთო, თორე ბევრი რამეები მოხდებოდა.

დედე ქორქუთი-დედე ბერი, გამოცდილი ბაბუა. ძალიან საინტერესოა ესა. ეს იმათი ნაციონალური ის არის. გერმანელმა გამოუშვა, გადათარგმნა. სპეციალისტი, კარგად უთარგმნია ძალიან. ერთ თურქმა დაწერა წიგნი. საქართველოში წვიდა—ღემერთამ ჯეიჰუნ მთელს მსოფლიოს ბოდიშს ვუხდი. საქართველოში რომ წავიდა იმის შემდეგ სულ ქართველებზე დაწერილია. ქართველებზე დაწერია. რათქმაუნდა თურქებმა რომ საქართველოში შევიდენ, დახოცეს და ეკლესიები დაანგრის და იქედან ამბობს, მთელს მსოფლიოს ბოდიშ ვუხდი.

ესლა ერთი დავლაძე არის, ჩვენი ექიმი მაქარია იმერხევეშია დაბადებული. ის მიუნხენის დიასპორაზე რომ ვლაპარაკობდით,

მიუხედავად ჩამოვიდა და იმათთან მივიდა, მერე ჩემთან ჩამოვიდა, აქედან პარიზში წვეიყვანე, უთხრეს რომ არ წახვიდე თურქები დაგხოცავენო, ამ მიუხედავად დიასპორამ, კომუნისტის დრო იყო მაშინ. საქართველოში ჩამოსთვლისთვის ჩამოვიდა. აქ საქართველოში უნდა წასულიყო თურქეთიდან, ეშინოდა. იმათმა ტვინი აუშალეს ამ მიუხედავად. წარმედგინე. მერე თურქეთიდან წავიდა, ყველაფერი რომ ნორმალურად იმაზე დადგა. წვეიდა.

ერთი წიგნია თურქულ ლიტერატურაში, ბაში-აჩუკ ქართველების დესტანი, ეპოქა. რომლებიც არა სიმართლეობის წინააღმდეგ არ წვეიდენ. ღიას მივეცი, თარგმნეთ რამე გააკეთეთ. საქართველოში გაიგონ ეს. მარტო ქართველების აჯანყება. სულ ქართველებზე დაწერილი. ხალხი გამოგონილია, ანონიმ, ლეგენდა ქართველებზე, სიმღერებიც არი.

ამ ჩვენებურების ნომრებშიც წერია, მაგრამ 3-4 ნომერია.

მე მინდა დაწერო თურქეთის ისტორიაში წამყვანი ქართველები. იმის წყარო ვნახე მე. იუგოსლავია ვინ აიტაცა იცი? ოსმალების დროს ქართველმა. მთელი იუგოსლავია. ალი ფაშა. მთელი იუგოსლავია საზღვრებში ჩაყარა. შარშან ფიროსმანის გამოფენა იყო. ორიგინალ. ისტანბულში ერთად წავედით. ერთი რამდენიმე ყოფილი ელჩები თურქების მსოფლიოში სულ ქართველები იყვნენ.

იქ ღვეინახე რა ქართველები ყოფილან კაცო. ვიცოდი, მაგრამ პირადად ნანახი არ მყავდა. აჯარ ხიმშიაშვილი, გოგიტიძე მაგალითად. ერთადერთი თურქეთში ქიმიის ინდუსტრიის წამყვანი ის კაცია. მსოფლიო ქართველთა კონგრესზე ვიყავით ერთად, ის თურქეთიდან იყო ჩამოსული, მე აქედან წვეელი. ობლობის სახლში მივედით, ათიათასი დოლარი დადო ამან, ამ გოგიტიძემ. მერე სადამოს პატრიარქის მიღებაზე ვიყავით 25, 000 დოლარი კიდევ ჩურიცხა პირდაპირ თბილისიდან ობლების სახლს. ასეთ კაცებ ბევრ აწყენინებენ, ატყვილებენ, ილუზიებით მიდიან, ის საქმის კაცია კაცო. პ.ბ. - თურქეთის ქართველი ბიზნესმენები კარგი იქნება თუ დააფინანსებენ დმანისის გათხრებს.

ი.ხ. - იქ უნდა წემეიყვანო თურქეთიდან ქართველები საქართველოში და ასწავლო, იმას უნდა გაათხრევიო იქა. მაგალითად ამერიკიდან ქართველი ჩვეიდა, არქეოლოგი დაიჭირეს თურქებმა.

დასასრული

სტუმრად ბ-ნ ილია ხიმშიაშვილთან
ექსპელჰაიმი (გერმანია) 03. XII. 2007 წ.

